პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 31 (12239) | სამშაბათი, 6 თებერვალი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

კუბის ხალხის მეორე გენერალური ეროვნული ასამბლეისადმი

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა წერილით მიმართა კუბის ხალხის მეორე გენერალურ ეროვნულ ასამბლეას, კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს დოქტორ ფიდელ კასტრო რუსს. საბჭოთა ხალხის, საბჭოთა მთავრობის სახელით და პირადად თავისი სახელით იგი მხურვალედ მიესალმება ასამბლეის მონაწილეებს.

საბჭოთა ადამიანებს, ნათქვამია წერილში, გულწრფელად ახარებთ ის ფაქტი, რომ კუბის გმირმა ხალხმა, მჭიდროდ დარაზმულმა თავისი რევოლუციური მთავრობის გარშემო, რომელსაც მეთაურობს შეუდრეკელი მებრძოლი რევოლუციონერი ფიდელ კასტრო, შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა კუბის პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური გარდაქმნის საქმეში.

კუბა მშვიდობისმოყვარე ქვეყანაა. იგი არავის არ ემუქრება, აღნიშნულია წერილში. მაგრამ საერთაშორისო რეაქციასა და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტურ წრეებს არ სურთ შეურიგდნენ კუბელი ხალხის თავისუფალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას და კვლავ ცდიან შეთქმულებათა ქსელს კუბის წინააღმდეგ. ეს განსაკუთრებით ცხადყო მთელი მსოფლიოს წინაშე პუნტა-დელ-ესტეს კონფერენციამ.

კუბა მარტო როდია. კუბასთან სოლიდარობის საბრძოლო მოძრაობა, რომელიც იზრდება ლათინური ამერიკის ქვეყნებში, დედამიწის ყველა ნაწილში, დაეხმარება კუბელ ხალხს ჩაფუშოს ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი ლაქიების შავბნელი გეგმები.

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, რომლებმაც გააფორებულ ბრძოლაში მოიპოვეს თავიანთი დამოუკიდებლობა და ამჟამად აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას, ხაზგასმით აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, მახლობელი და გასაგებია მამაცი კუბელი ხალხის გმირული ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა კავშირის ხალხები მუდამ თქვენთან არიან, ძვირფასო კუბელო ძმებო!

ნ. ს. ხრუშჩოვი კუბის ხალხის მეორე გენერალურ ეროვნულ ასამბლეას დიდ წარმატებებს უსურვებს მის წინაშე დასახული დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემების გადაჭრაში. იგი გამოთქვამს რწმენას, რომ ასამბლეა იქნება თავისუფალი ხალხის ახალი დარტყმა იმპერიალიზმის აგრესიული ზრახვების და იმათ წინააღმდეგ, ვინც ბრმად, საკუთარი ქვეყნების ინტერესების საზიანოდ კუდში მისჩანჩალებს მას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში კიდევ უფრო თვალსაჩინოდ სჩქეფს საagიტაციო მუშაობა. აგიტპუნქტებში უწყვეტ ნაკადად მოდიან მშრომელები, იქ ისინი იღებენ კონსულტაციებს მათთვის საჭირო საკითხებზე. მართალი სიტყვის ოსტატები — აგიტატორები მიმზიდველად მოუთხრობენ მშრომელებს არჩევნების ცალკეულ საკითხებზე, სკკპ XXII ყრილობის მიზანდასახულობაზე, საბჭოთა დემოკრატიაზე. მრავალფეროვანია აგიტატორთა საქმიანობა. ისინი მარტო საagიტაციო მუშაობით არ კმაყოფილდებიან. ბევრ აგიტპუნქტში უკვე შეუდგნენ კედლის გაზეთების გამოშვებას.

* * *

სურათზე: თბილისის კალინინის რაიონის № 16 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში, რომელიც კონსერვატორიის შენობაშია მოთავსებული, აგიტატორები (მარცხნიდან მარჯვნივ) ც. ქაჯაია, თ. კუზნეცოვა, ე. დათეშიძე, ვ. ახობაძე, ბ. მარჯანიძე და ვ. ზარიძე ამზადებენ კედლის გაზეთს.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ III ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ

5 თებერვალს თბილისის ვ. ხარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა საქართველოს კომპოზიტორთა III ყრილობის საორგანო სხდომა.

მოსმენილი მოხსენებების გამო კამათში გამოვიდნენ: ბუსიკის მცოდნე **მ. ფიჩხაძე**, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის ლენინგრადის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ბოგდანოვ-ბერეზოვსკი**, პროფესორი **ი. ტუსკია**, კომპოზიტორი **ბ. არაპოვი** (ლენინგრადი), კომპოზიტორი **ვ. ადიგეზალოვი** (ბაქო), პროფესორი **ა. ხუბუა**, მუსიკისმცოდნე **ვ. გვახარია**, დირიჟორი **ა. კოვალიოვი** (მოსკოვი), კომპოზიტორი **დ. თორაძე**, მუსიკალურ ნაწარმოებთა სახელმწიფო გამომცემლობის მთავარი რედაქტორი, მუსიკისმცოდნე **კ. საკვა**, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი **ტ. ლეონტოვსკაია**, კომპოზიტორი **ა. ბუკია**, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, კომპოზიტორი **ო. თაქთაქიშვილი**.

ორატორებმა დიდი ყურადღება დაუთმეს შემოქმედებითს პრობლემებს, კომპოზიტორის ადგილსა და როლს კომუნიზმის მშენებლობაში.

ყრილობაზე გამოქვეყნდა მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც გამოგზავნეს სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სამდივნომ, ბელორუსის, ლატვიისა და ესტონეთის კომპოზიტორთა შემოქმედებითმა ორგანიზაციებმა.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა **ა. ბალანჩივაძემ**.

არჩეულია საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე სსრ კავშირის კომპოზიტორთა III ყრილობის დელეგატები.

ᲡᲕᲔᲢᲚᲘᲩᲜᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ

ᲒᲝᲠᲘ. (საკ. კორ.). როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იცან, გორის რაიონის სოფელ ზეედულეთის კოლმეურნეობა რესპუბლიკაში პირველი შეუდგა ყუბანელი მექანიზატორის ვლადიმერ სვეტლიჩნის მეთოდით შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანას.

ზეედულეთელი მექანიზატორი გიორგი ცერცვაძე, რომელიც ხელმძღვანელობს კომპლექსური მექანიზაციით შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის საქმეს, შარმან გაზაფხულზე სტუმრად იყო ყუბანში ვ. სვეტლიჩნისთან და გაეცნო მისი მუშაობის მეთოდს. იქ ნახულსა და შესწავლილს ცერცვაძე გაბედულად ნერგავს მუშაობაში.

კოლმეურნეობაში სწავლას შეუდგა გ. ცერცვაძის მოწინავე გამოცდილების სკოლა, რომელშიც ზეედულეთელი მექანიზატორების გარდა ჩაბმული არიან რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე მექანიზატორები.

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲔᲑᲘᲗ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ქალაქის ბევრმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა გამოთქვა სურვილი სამუშაოდ წავიდეს ამიერკავკასიაში ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის — ენგურჰესის მშენებლობაზე. კომკავშირის საქალაქო კომიტეტში მშენებლობაზე გამგზავრების შესახებ ვანცხადებდა ერთ-ერთმა პირველმა შეიტანა კომკავშირელმა რეზო გოგიაშვილმა. განცხადებაში იგი წერს: ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა სამეცნიერო საქმეა. გთხოვთ კომკავშირელი სოგბურით გამიშვათ ახალ მშენებლობაზე, რათა ჩემი წვლილიც შევატანო ამ დიდ საქმეში.

ასეთივე პატრიოტული განცხადებით მიმართეს კომკავშირის საქალაქო კომიტეტს ი. ქვარიანმა, შ. ცხადაძემ, ი. ბუხრაშვილმა, ბ. ჭიკაბერიძემ, რ. კინწურაშვილმა, ბ. სოხოევმ, ი. ბოსნიევმა, ი. რიქინაშვილმა და სხვ.

ქუთაისელი ახალგაზრდების პირველი ჯგუფი უკვე გაემგზავრა ენგურჰესის მშენებლობაზე.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲨᲝᲚᲝᲮᲝᲕᲘ ᲨᲕᲔᲪᲘᲐᲨᲘ

ფინეთში რამდენიმე დღის ყოფნის შემდეგ მიხეილ შოლოხოვი, რომელსაც აქ მრავალრიცხოვანმა ფინელმა მეგობარმა გულთბილი შეხვედრები მოუწყო, შვეციაში გაემგზავრა.

ამ დღეებში მ. შოლოხოვი მეუღლითურთ ფინეთის ნავსადგურ ტურკუდან გემით ჩავიდა შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში. აქ მას შეხვდნენ სსრ კავშირის საელჩოს წარმომადგენლები. მიხეილ შოლოხოვი შვეციაში პირველად არ არის. იგი აქ ადრეც ყოფილა. მისი წიგნები შვეციაში დიდი პოპულარობით სარგებლობს (ახლახან გამოვიდა „გატეხილი ყამირი“ და „დონური მოთხრობები“). მწერალი კარგად იცნობს სტოკჰოლმს, მაგრამ მიუხედავად ამისა შვეციაში ყოფნის პირველი დღე დედაქალაქის დათვალიერებას მოანდომა. შვეციაში ახლა კარგი ამინდებია, სტოკჰოლმში ზამთრის სასიამოვნო სუსხია.

მ. შოლოხოვი შვეციაში დაახლოებით ერთ კვირას დაჰყოფს. მწერალი გაეცნობა ამ ქვეყნის რამდენიმე ქალაქს. მას განსაკუთრებით აინტერესებს შვედ გლეხთა ცხოვრება.

ბუნებრივია მ. შოლოხოვს ბევრი საინტერესო შეხვედრა ექნება. მათ შორის შეხვედრა მწერლის ძველ ნაცნობთან შვედ გამომცემელ გიდლუნდთან, რომელიც გამომცემლობა „ტიდენის“ მთავარი დირექტორი და-პატრონია.

ᲛᲔᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ III ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

საინტერესო საღამო მოეწყო ამ დღეებში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. დარბაზი მაყურებლებს ძღივს იტევდა. მოსაწვევი ბილეთის გარეკანზე დაბეჭდილი იყო სკკპ პროგრამის სიტყვები: „პარტია საქვეყნოდ აცხადებს: საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!“ საღამო მოეწყო თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის სახელწოდებისათვის მებრძოლი მუშათა კოლექტივისათვის.

საღამო გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. სარიშვილმა. მოხსენებით გამოვიდა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე დ. ბაკურაძე.

საღამოს მეორე განყოფილებაში წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი — ზ. ფალიაშვილის „დაისი“. სპექტაკლის დაწყების წინ საღამოს მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა თეატრის დირექტორმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. მჭედლიძე.

სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. ანტრაქტებში ქარხნის მოწინავეებმა ფოტოსურათები გადაიღეს სპექტაკლის მონაწილეებთან ერთად.

ქარხნის კოლექტივი 17 თებერვალს შეხვდება თეატრის ბალეტის კოლექტივს. ნაჩვენები იქნება ბალეტი „ოტელო“ სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის ლაურეატის ვახტანგ ჭაბუკიანის მონაწილეობით.

* * *

სურათზე: თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის მოწინავეები და ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობთა ერთი ჯგუფი — საღამოს მონაწილეები.

ფოტო ე. სუსუნიკაშვილისა.

ᲛᲔᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ III ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲦᲣᲠᲔᲑᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘᲡ ᲐᲚᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ.

ᲨᲐᲮᲢᲝᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲜᲘᲡ ᲨᲐᲮᲢᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ 30 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲪᲕᲚᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲐᲠᲐᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲡᲠᲣᲚᲐ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲝᲡ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲐᲛᲝᲘᲦᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲜᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲔᲗᲔᲚᲝᲜᲘ ᲡᲣᲗᲘᲡ.

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲔᲑᲘᲗ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲨᲝᲚᲝᲮᲝᲕᲘ ᲨᲕᲔᲪᲘᲐᲨᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

იმასთან დაკავშირებით, რომ მოქმედების ვადა გაუვიდა საბჭოთა კავშირ-შვეციის სამი წლის შეთანხმებას საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ, რომელიც დადებული იყო 1959-1961 წლების პერიოდისათვის, მოსკოვში მოლაპარაკება გაიმართა სსრ კავშირისა და შვეციის სავაჭრო დელეგაციებს შორის ახალი გრძელვადიანი შეთანხმების დადების შესახებ.

ამ მოლაპარაკების შედეგად 2 თებერვალს ხელი მოაწერეს ოქმს საქონელბრუნვის შესახებ სსრ კავშირსა და შვეციას შორის 1962-1964 წლებში. ოქმით გათვალისწინებულია ურთიერთმისაწოდებელი საქონლის სია აღნიშნულ სამი წლის პერიოდში.

ოქმის შესაბამისად შვეცია სსრ კავშირს მოაწვდის მოწყობილობას ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობისათვის, მერქან-ბოჭკოვანი ფილების ქარხნების მოწყობილობას, კომპლექტურ მოწყობილობას ხორცის კომბინატებისათვის, დიდ ტანკერებს, აგრეთვე შავი ლითონების ნაგლინს, მილებს, ქაღალდს, ცელულოზს, შტაპელის ბოჭკოს, ზოგიერთ სამომხმარებლო და სხვა საქონელს.

სსრ კავშირი შვეციას მიაწვდის ზოგიერთი სახეობის მანქანასა და მოწყობილობებს, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს, ქვანახშირსა და კოკსს, მანგანუმსა და ქრომის მადანს, თუჯს, ფეროშენადნობებს, ფერად ლითონებს, მინერალურ სასუქებს, აზბესტსა და სხვა საქონელს.

როგორც მოსალოდნელია, საქონელბრუნვა ორივე ქვეყანას შორის მომავალი სამი წლის პერიოდში დაახლოებით 25 პროცენტით გადიდდება საბჭოთა კავშირ-შვეციის ვაჭრობის მოცულობასთან შედარებით წინა სამ წელიწადში.

ᲚᲝᲛᲝᲜᲝᲡᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

— Ა. Ნ. ᲜᲔᲡᲛᲔᲘᲐᲜᲝᲕᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 3 თებერვალი. (საკდესი). მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედალი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყველაზე საპატიო ჯილდოა. აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით იგი მიენიჭა გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს აკადემიკოს ა. ნ. ნესმეიანოვს.

მას ეკუთვნის ელემენტ-ორგანული შენაერთების ფართო გამოკვლევა, რომელმაც მოიცვა მენდელეევის პერიოდული სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი. მეცნიერმა დიდი წვლილი შეიტანა ორგანული ქიმიის თეორიაში, შექმნა საბჭოთა ელემენტ-ორგანული სკოლა. ა. ნ. ნესმეიანოვის ნაშრომებთან დაკავშირებულია ქიმიური მრეწველობის მთელი რიგი დარგების შექმნა.

31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ მოსკოვიდან გაფრინდა თვითმფრინავი „ილ-18“. მან გახსნა რეგულარული სამგზავრო მიმოსვლა ახალ საერთაშორისო ტრასაზე მოსკოვი-რანგუნი-ჯაკარტა. 11 ათასი კილომეტრი მანძილი „ილ-18“ თვითმფრინავმა გაიარა 18 საფრენ საათში. 2 თებერვალს საბჭოთა ლაინერი ინდონეზიის დედაქალაქიდან უკან გამოფრინდა.

სამგზავრო რეაქტიული — თვითმფრინავი „ტუ-124 — თვითმფრინავის „ტუ-104“ უმცროსი ძმა მალე გამოვა ჩვენი ქვეყნის საჰაერო ხაზებზე. მაგრამ უკვე ახლა წარმოებს მუშაობა „ტუ-124“ ვარიანტის შექმნისათვის, რომელიც გათვალისწინებული იქნება 68 მგზავრისთვის. ახალი ხომალდის პროექტი გაჩნიელი და მოწონებული. თავისი გარეგნული სახით „ტუ-124ა“ საგრძნობლად განსხვავდება თავისი წინამორბედისაგან. ტურბორეაქტიული ძრავები სიბრტყეებიდან გადანაცვლებული. ბოლოსკენ — ფიუზელიაჟის ორივე მხარეზე. ამის შედეგად შენელდება მათი ხმაური, რომელიც მგზავრთა სალონში ისმის. შეიცვალა აგრეთვე მანქანის საფრენსონო „ტექნიკური თვისებები. „ტუ-124ა“ ლაინერთა პირველი საცდელი პარტია გამოვა შვიდწლედის მეხუთე წელს.

* * *

საექსპლოატაციოდ გადაცემის წინ მთავრდება გამოცდა ახალი სამგზავრო ტურბოხრახნიანი თვითმფრინავისა „ილ-18 ი“. მორიგი ტექნიკური რეისით ეს ლაინერი ძირდაუშვებლად გადაფრინდა მოსკოვიდან ულადივოსტოკში, დაფარა ამგვარი მანქანებისათვის რეკორდული მანძილი, ახალ ხომალდს თავისი უმცროსი ძმის „ილ-18“ თვითმფრინავისაგან განსხვავებით დაჰყავს გაცილებით მეტი მგზავრი. „ილ-18 ი“ თვითმფრინავს, რომელსაც საწვავის უფრო მეტი მარაგი აქვს ავზებში, ძირდაუშვებლად შეუძლია გაფაროს ორა-სამი ათასი კილომეტრი, ამავე თვითმფრინავს სალონის სხვა მოწყობით და ნაკლები მგზავრით შეუძლია ძირდაუშვებლად განაზორციელოს რეისები ხუთ-ექვსი ათას კილომეტრ ტრასებზე.

* * *

ამჟამად მოსკოვში ვნუკოვოს საავიაცო საველოსნოები სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საძეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან და ა. ნ. ტუპოლევის საკონსტრუქტორო ბიუროსთან ერთად ახორციელებენ „ტუ-104 ა“ თვითმფრინავის სამგზავრო კაბინის გადაკეთებას. გადაკეთების შემდეგ მანქანა წაიყვანს ას მგზავრს — გაცილებით მეტს, ვიდრე ახლა. უკვე შექმნილია ასადგილიანი „ტუ-104 ა“ თვითმფრინავის პირველი ეტალონური ნიმუში. ამგვარი ტიპის მანქანების მასობრივი გადაკეთება ასადგილიან მანქანებად წელს განხორციელდება.

ᲐᲔᲠᲝᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲜᲘ

ᲡᲡᲡᲙ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ პოლიტიკური აქტივობით, დიდი შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის და საბჭოთა არმიის მეომრების წინასაარჩევნო კრებები. მთელი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ხალხები ფართოდ სარგებლობენ სსრ კავშირის კონსტიტუციით მონიჭებული დიდი უფლებით წამოაყენონ და აირჩიონ კანდიდატები სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. საარჩევნო კრებებზე ვლინდება საბჭოთა ხალხის ერთსულოვნება, დარაზმულობა, რომ ის მზად არის დაუღალავად იბრძოლოს პარტიის XXII ყრილობის ხაზით შესრულებულებათა შესრულებისათვის, ახალი პროგრამის განხორციელებისათვის.

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲖᲔ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ხისდამმუშავებელი კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ბათუმის № 702 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად ამომჩეველებმა ერთსულოვნად დაასახელეს მშვიდობისათვის დიდი მებრძოლი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვი.** ამავე კრებაზე დეპუტატობის კანდიდატად კავშირის საბჭოს არჩევნების ბათუმის № 702 საარჩევნო ოლქში წამოყენებულ იქნა ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის მოწინავე მუშა მედალგე **ალექსანდრა მოსეს-ასული ჟორჟოლიანი.**

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ალექსანდრე დურსუნის-ძე თხილაიშვილი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 390 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა.

თამარ ირაკლის ასული დლონტი — მედიცინის მუშაკთა თბილისის დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენებულია ქედის რაიონის აჭარაწყლის ჰიდროელექტროსადგურის მუშა-მოსამსახურეთა მიერ.

თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის ხალხმრავალ წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ეროვნებათა საბჭოს თბილისის პირველი მაისის № 129 საარჩევნო ოლქში წამოყენებული არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენი** და კომბინატის საქსოვი წარმოების ქიმიკოსტი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი **აპოლონ ივანეს-ძე ჩიქოვანი.**

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. 5 თებერვალს დაბა ვალეს კულტურის სახლში გაიმართა № 1 ზაბლის კოლექტივის წინასაარჩევნო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი.

მებრეგთა ბრიგადის ბრიგადირმა ბ. ტეფნაძემ წინადადება შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ანასტას ივანეს-ძე მიკოიანი.**

მის შემდეგ გამოსულმა კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრმა ვ. გველესიანმა მოიწონა დასახელებული კანდიდატური და თავის მხრივ წინადადება შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ სოფელ თორიას კოლმეურნეობის მოწინავე მწველადი **ემა არსენის ასული პეტროსიანი.**

დასახელებულ კანდიდატურებს მხარი დაუჭირეს მეახტეებმა ნ. ბაღდასარიანმა და ფ. კუტიკოვმა.

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრებაზე ერთხმად მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ზესტაფონის № 136 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებული იქნან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნი** და ამავე ქარხნის პირველი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი, პარტიის XXII ყრილობის დელეგატი **ლევან ვასილის-ძე კობაზიძე.**

ᲡᲝᲩᲘ. (საკ. კორ.). უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს ადგილობრივ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენება.

გუშინ გაიმართა სოხუმის რაიონის სოფელ ეშერის ჯანაშიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო ნახლმრავალი კრება.

პირველი სიტყვა აიღო კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა გ. ტოლუმჯიანმა. იგი ლაპარაკობს მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებზე, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის, სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებებზე. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა წარმატებებზე და წინადადება შეაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის სასოფლო № 145 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძე.**

სიტყვით გამოსულმა კოლმეურნეობის ბრიგადირმა გ. გასპარიანმა, ეშერის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ზ. ბიგვავამ, ლ. ძიძიგურიმ და სხვებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი გ. ს. ძოწენიძის კანდიდატურას.

კრებამ ერთსულოვნად გადაწყვიტა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გ. ს. ძოწენიძის კანდიდატურა დაასახელეს აგრეთვე ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის დირექტორის რაიონის კომკარის ჩაის ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებებზე.

ქუთაისის აბრეშუმსაქსოვი კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრებამ დაადგინა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ქ. ქუთაისის № 708 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებული იქნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი** და ქ. ქუთაისის აბრეშუმსაქსოვი კომბინატის მრავალდაჯილდოებული მოწინავე მჭსოველი **ნაზი ისაკოს-ასული მაღლაკელიძე.**

ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ასანთის ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის სასოფლო № 145 საარჩევნო ოლქში წამოყენებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძე.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გ. ს. ძოწენიძის კანდიდატურა დაასახელეს აგრეთვე ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის და ონჩაჩრის რაიონის კომკარის ჩაის ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებებზ

სკკპ XXII ყრილობა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ამოცანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ მ. ა. სუსლოვის მოხსენებიდან

უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა სრულიად საკავშირო თათბირზე

სკკპ XXII ყრილობას მიღებული გადაწყვეტილებებისა და დასახული გეგმების სიდიადით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენი პარტიის, მთელი მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ისტორიაში. მისი გადაწყვეტილებანი, მისი ღრმა იდეები მძლავრ გავლენას მოახდენენ არა მარტო ჩვენი საბჭოთა ქვეყნის განვითარებაზე, არამედ მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზეც. შთაგონების წყარო გახდებიან ხალხთა ბრძოლაში თავგანთქა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის.

XXII ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა განსაზღვრება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მან შეაჯამა იმ გმირული გზის შედეგები, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ განვლო პარტიის მეორე ლენინური პროგრამის მიღების დროიდან, და ერთსულოვნად მიიღო სკკპ ახალი პროგრამა — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა.

ყრილობა სკკპ XX ყრილობის მიერ შემუშავებული ლენინური გენერალური პოლიტიკური კურსის გამარჯვების მკაფიო დემონსტრაციას წარმოადგენდა. პარტიის XX ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში ჩვენმა ქვეყანამ ახალი უდიდესი ნაბიჯი გადადგა კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. პარტიამ შემდგომ განავითარა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები და კოლეგიური ხელმძღვანელობის პრინციპები, სავსებით მოიცო ბოლო სტალინის პიროვნების კულტს და დაამავარა გიგანტურ-ფრაქციონერების — მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვისა და სხვების ანტიპარტიული ჯგუფის იდეური განადგურება.

XXII ყრილობამ ცხადყო ჩვენი პარტიის რიგების უდიდესი მონოლითურობა, მისი მჭიდრო კავშირი მასებთან და მთელი საბჭოთა ხალხის შეურყეველი დარაზმულობა ცენტრალური კომიტეტის გარშემო გამოჩენილი ლენინელის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

XXII ყრილობის სიღიადე იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი გახდა მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ორმოცმილიონიანი არმიის საერთაშორისო ტრიბუნა, რომლიდანაც მოქმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები ცხადყოფდნენ თავიანთ სოლიდარობას ჩვენს პარტიასთან — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ავანგარდთან, იწონებდნენ მის ახალ პროგრამას, ხელადენ რა მასში იმ ჩაუქრობელ ჩირაღდანს, რომელიც მკაფიოდ გაუშუქებს მთელ პროგრესულ კაცობრიობას ნათელი მომავლის გზას.

პარტიის პროგრამა იძლევა თანამედროვე მსოფლიო განვითარების ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზს და ამომწურავ პასუხს მის ძირეულ საკითხებზე. იგი იცავს მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდეს, მტკიცედ იღაშქრებს რევიზიონიზმის, დოგმატიზმის, სექტანტობის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ამდიდრებს საერთაშორისო კომუნისტური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, აგრეთვე მშვიდობისათვის ხალხთა საერთოდემოკრატიული მოძრაობის იდეურ არსენალს.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირობიდან განუზომლად იზრდება როლი პარტიის იდეოლოგიური მუშაობისა, რომლის იდეური სათუძველია მარქსიზმ-ლენინიზმი, პარტიის პროგრამა. ის მთლიანად ეხება უმაღლეს სკოლაში იდეურ-აღმზრდელობით მუშაობასაც.

ახლა უმაღლეს სასწავლებლებში არ არის უფრო დიდმნიშვნელოვანი, საპატიო და კეთილშობილური ამოცანა, ვიდრე სკკპ პროგრამისა და წესდების შესწავლა და პროპაგანდა. ეს მასწავლებელთა მთელი კოლექტივის, ყველა პარტიული ორგანიზაციის საქმეა.

უმაღლესი სასწავლებლების იდეოლოგიურ მუშაობაში განსაკუთრებით დიდი და პასუხსაგები როლი საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებისა, რომლებზეც თავმოყრილი არიან თეორიულად ნამზადებული პარტიული კადრები. ღირსეულად რომ გაართვან თავი ახალ ამოცანებს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლებმა პირველ რიგში თვითონ ღრმად და ყოველმხრივ უნდა შეისწავლონ და შემოქმედებითად გაიაზრონ სკკპ XXII ყრილობის დოკუმენტები.

კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამის პროპაგანდა მოითხოვს დიდ შინაგან აღმოვლობას, აღფრთოვანებას, ცოცხალ და მკაფიო სიტყვას.

XXII ყრილობის გადაწყვეტილებები და მასალები აღრმავებენ და ახალი დებულებებია და დასკვნებით ამდიდრებენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა კურსის შინაარსს. ამიტომ საჭიროა გავაანალიზოთ შემოქმედებითი მუშაობა სკკპ ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კურსების ყველა პროგრამის შინაარსის გადასასინჯავად. საჭიროა ხელახლა გამოიცეს ყრილობის მასალების გათვალისწინებით საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველაზე დიდმნიშვნელოვანი სახელმძღვანელოები და სასწავლო დამხმარე წიგნები.

XXII ყრილობის დოკუმენტების იდეათა ფართო პროპაგანდად და რეალიზაცია სამუალებას მოგვცემს ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მთელი სასწავლო, აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, მთელი იდეოლოგიური მუშაობა სტუდენტ ახალგაზრდობასთან, ამაღლებს სტუდენტი ახალგაზრდობის კომუნისტურ შეგნებულობას, იდეურ სწრაფვას, დისციპლინობასა და ორგანიზებულობას, აქტივობას სწავლასა და კომუნისტურ მშენებლობაში.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობა უმაღლესი სკოლის წინაშე აყენებს ახალ მოთხოვნებს სპეციალისტთა მომზადების შემდგომი გაუმჯობესებისათვის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან სწავლების შეერთების ლენინური პრინციპის განხორციელების საფეძველზე. უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულნი სრულყოფილად უნდა ფლობდნენ სამამული და მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევას, შეეძლოთ კარგად გამოიყენონ თავიანთი ცოდნა ცხოვრებაში, შრომაში, პრაქტიკულ მუშაობაში.

კომუნიზმის აქტიური მშენებლები რომ გახდნენ, ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტებს უმაღლესი სკოლიდან გამოსულესას ღრმად უნდა ესმოდეთ მსოფლიო განვითარების მიმდინარეობა და პერსპექტივები, სწორად ერკვეოდნენ ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებში, ესმოდეთ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებანი, იყონ კომუნიზმის აშენებისათვის რწმენით გამსჭვალული მებრძოლნი, იმ ისტორიული ეპოქის ღირსნი, რომელშიც მათ უნდა იცხოვრონ და იშრომონ.

პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობისათვის, მათ შორის უმაღლეს სასწავლებლებშიც, ახლა შექმნილია განსაკუთრებით კეთილსაყოფიერი შემოქმედებითი ვითარება.

პარტიამ აღადგინა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ლენინური პრინციპები და უკანასკნელ წლებში უდიდესი მუშაობა გასწია ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტის მავნე შედეგების ლიკვიდაციისათვის როგორც პარტიული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დარგში, ისე საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს პიროვნების კულტის უარყოფით შედეგებზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

სტალინის პრეტენზია თავისებურ მოწოდოლაზე რევოლუციური თეორიის განვითარების დარგში, მის მიერ იმ უფლების მითვისება, რომ უკანასკნელი სიტყვა ეთქვა თეორიაში, და მისწრფვება — ადმინისტრაციული გზით გადაეკრა თეორიული საკითხები — სერიოზულად აფერხებდა, ბოჭავდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას. მარქს-ენგელს-ლენინისა და მთელი ჩვენი პარტიის თეორიული მოღვაწეობის დიალექტიკურ მექვედრეობას აკნინებდნენ. სტალინის განდიდებისათვის მის ნაწარმოებებს, სტატიებს, გამოსვლებს დაუმსახურებლად ქება-დიდებას ასხამდნენ, როგორც „გენიალურს“, „ისტორიულს“.

რა თქმა უნდა, ი. ბ. სტალინს ჰქონდა დამსახურება პარტიისა და კომუნისტური მოძრაობის წინაშე. მათ შორის თეორიის დარგშიც. ამიტომ არ შეიძლება წავშალოთ. მცდარად მივიჩნიოთ ყველა მისი ნაწარმოები. მაგრამ კრიტიკულად უნდა ვუდგებოდეთ მის ნაწარმოებებს, განსაკუთრებით მისი სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდის ნაწარმოებებს, როცა სტალინი მოსწყდა პარტიის ცხოვრებას, თავი წარმოიდგინა თეორიის კანონმდებლად, ბევრ თეორიულ შეცდომას უშვებდა და სერიოზულ ზიანს აყენებდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებას.

განსაკუთრებით მძიმე ზიანი მიაყენა პიროვნების კულტმა ისტორიულ მეცნიერებას, და უწინარეს ყოვლისა სკკპ ისტორიას.

სკკპ ისტორიის „მოკლე კურსი“ გამოცხადებულ იყო მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად ცოდნათა ენციკლოპედიად. „მოკლე კურსის“ დამახასიათებელი ნიშანი იყო მარტო სტალინის ფიგურის წამოწევა, მის საამებლად არაობიერთად მიმართავდნენ ისტორიული ამბების არასწორად გადმოცემას.

ოქტომბრის რევოლუციის, სამოქალაქო ომის, სოციალიზმის მშენებლობის ისტორიის გაშუქებაში დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები. მაგალითად, ნაშრომებში სამოქალაქო ომის ისტორიის შესახებ, წინააღმდეგ ფაქტებისა ზოგი ფრონტი წამოწეული იყო პირველ პლანზე, სხვა ფრონტების მნიშვნელობას ჩაწინდებდნენ იმის მიხედვით, თუ სად იმყოფებოდა ამა თუ იმ მომენტში სტალინი, სამოქალაქო ომის ფრონტებზე მოპოვებული თითქმის ყველა გამარჯვება განხილული იყო უწინარეს ყოვლისა როგორც სტალინის მოღვაწეობის შედეგი.

ქვეყნის თავდაცვის ხელმძღვანელობაში ლენინის და პარტიის როლს აკნინებდნენ. უფრო მეტიც, ცნობილ წერილში სამხედრო ისტორიკოს ამხ. რაზინინისადმი სტალინი იქამდე მივიდა, რომ პირდაპირ უარყოფდა ლენინის როლს სამხედრო თეორიის, სამხედრო ხელოვნების განვითარებაში.

პარტიის ოქტომბრისშემდგომი ,ისტორიის ბევრი სხვა საკითხის გაშუქებაშიც თავს იჩენდა პიროვნების კულტის ზემოქმედება.

პიროვნების კულტის პერიოდში შეიქმნა მ. ნ. პოკროვსკის მეცნიერული მემკვიდრეობისადმი არასწორი დამოკიდებულება, რაც ხელაღებით უარყოფდა იმ მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც ამ გამოჩენილმა ისტორიკოსმა მარქსიზმამ სამამული ისტორიის დამუშავებაში შეიტანა. ხომ ცნობილია, რომ სწორედ პოკროვსკიმ ლენინის მხარდაჭერით პირველმა დაიწყო რუსეთის ისტორიის მარქსისტული დამუშავება და დიდი ბრძოლა გასწია ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ.

მცირე ზიანი როდი გამოიწვია პიროვნების კულტმა ფილოსოფიურ მეცნიერებაშიც. სტალინის ნაშრომს „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, რომელიც მეტად სქემატურად გადმოსცემდა მარქსისტული ფილოსოფიის საფუძვლებს, მეცნიერული ახრის მწვერვალად თვლიდნენ. ნამდვილად კი ამ ნაშრომმა ფილოსოფოსთა მეცნიერული და პედაგოგიური მუშაობის მხოლოდ დაღარიბება გამოიწვია.

მასში სტალინმა სავსებით უუარა გვერდი დიალექტიკის ერთ-ერთ ძირითად კანონს — უარყოფის უარყოფის კანონს და მოგვცა არასწორი განმარტება საკითხისა სოციალისტურ საზოგადოებაში საწარმოო ძალების ხასიათთან წარმოებითი ურთიერთობის შესაბამისობის შესახებ.

სტალინის ცნობილი თეზისი კლასობრივი ბრძოლის გაძწვავების შესახებ სოციალისტური წყობილების გამარჯვების შემდეგ, როცა ექსპლუატატორული კლასები ლიკვიდირებული იყვნენ, გამოყენებული იყო პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების, სოციალისტური დემოკრატიისა და კანონიერების ყოველად უხეშ დარღვევათა დასასაბუთებლად.

ცხოვრებისაგან, სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკის მოთხოვნებისაგან ძლიერ ჩამორჩენას ჰქონდა ადგილი ეკონომიურ მეცნიერებაშიც.

ცნობილია, რომ სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ყველაზე აწეწილი და გადაუწყვეტელი საკითხი იყო საკითხი სასაქონლო წარმოებისა და ღირებულების კანონის შესახებ. სტალინის ბროშურაში „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“ მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევას, შეეძლოთ კარგად გამოიყენონ თავიანთი ცოდნა ცხოვრებაში, შრომაში, პრაქტიკულ მუშაობაში.

კომუნიზმის აქტიური მშენებლები რომ გახდნენ, ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტებს უმაღლესი სკოლიდან გამოსულესას ღრმად უნდა ესმოდეთ მსოფლიო განვითარების მიმდინარეობა და პერსპექტივები, სწორად ერკვეოდნენ ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებში, ესმოდეთ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებანი, იყონ კომუნიზმის აშენებისათვის რწმენით გამსჭვალული მებრძოლნი, იმ ისტორიული ეპოქის ღირსნი, რომელშიც მათ უნდა იცხოვრონ და იშრომონ.

პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობისათვის, მათ შორის უმაღლეს სასწავლებლებშიც, ახლა შექმნილია განსაკუთრებით კეთილსაყოფიერი შემოქმედებითი ვითარება.

პარტიამ აღადგინა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ლენინური პრინციპები და უკანასკნელ წლებში უდიდესი მუშაობა გასწია ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტის მავნე შედეგების ლიკვიდაციისათვის როგორც პარტიული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დარგში, ისე საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

ბიოგენების კულტის კრიტიკას და მისი მავნე შედეგების აღმოფხვრას თან უნდა ახლდეს ბრძოლა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდისათვის. საჭიროა გადამჭრელ წინააღმდეგობას ვუწევდეთ ყოველ ცდას და ყოველ იდეოლოგიურ უბანზე პიროვნების კულტის კრიტიკის სახით გაამახვილონ ტროცკიზმი, მემარჯვენე ოპორტუნიზმი, ნაციონალ-უკლონიზმი და სხვა ანტილენინური მიმდინარეობანი, რომელიც დიდი ხანია დაამარცხა და სამართლიანად უკუაგდო პარტიამ, იმის ცდებს, რომ წაშალონ ან შებღალონ ჩვენი პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის მთელი უდიდესი პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობა, სახელი გაუტეხონ და ჩირქი მოსცხონ ჩვენს სოციალისტურ წყობილებას, პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიად მიღწევებს კომუნიზმის მშენებლობაში, სახელი გაუტეხონ და ძირი გამოუთხარონ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას.

პარტიის XXII ყრილობამ ერთ-ერთ ძირითად ამოცანად წამოაყენა კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდა.

ახალგაზრდა თაობის კომუნისტური შეგნებულობის აღზრდაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის უმაღლეს სკოლას და არამცირედი ზომით საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს მუშაკებს, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ, რათა საბჭოთა ახალგაზრდამ შეითვისოს მარქსიზმ-ლენინიზმი, როგორც ფილოსოფიურ, ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ მეხედველობათა მთლიანი და მწყობრი სისტემა. ამისათვის მნიშვნელოვნად უნდა ავამაღლოთ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, სკკპ ისტორიისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების იდეურ-თეორიული დონე, გაკეთდეროთ ამ მეცნიერებათა სწავლება საბჭოთა კავშირის კომენისტური პარტიის XXII ყრილობის დიადი იდეებით. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცოდნა, რასაც სტუდენტები იძენენ, მათი შინაგანი რწმენა ხდებოდეს და რომ ახალგაზრდა სპეციალისტებს შეეძლოთ პრაქტიკაში, ცხოვრებაში გამოიყენონ ეს ცოდნა.

პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციამ, ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის განხორციელებამ, უკანასკნელ წლებში მარქსისტულ-ლენინური თეორიის მთელი რიგი საფუძმძღვანელოების და სასწავლო დამხმარე წიგნების გამოცემამ — ყოველივე ამან დადებითი გავლენა იქონია უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გაუმჯობესებაზე. სკკპ ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიისა და ფილოსოფიის კათედრები გარკვეულად ძლევენ დოგმატიზმსა და მედავითნეობას, თეორიის მოწყვეტას ცხოვრებისაგან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან. უფრო მეტი ყურადღება ექცევა ლექციების მომზადებისა და წაკითხვის, სემინარების ჩატარების საკითხებს, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფას,

მაგრამ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მთელი ეს მუშაობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწავლების გაუმჯობესებისათვის მხოლოდ პირველი ნაბიჯებია კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდის დარგში ჩვენი პროგრამის მოთხოვნათა განხორციელებაში.

იმისათვის, რომ ავამაღლოთ უმაღლეს სასწავლებლებში მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწავლების იდეურ-თეორიული დონე, საჭიროა სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო დამხმარე წიგნების შემდგომი სრულყოფა, მათი გამდიდრება პარტიის პროგრამასა და სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებული ახალი თეორიული დასკვნებითა და დებულებებით, მათი განთავისუფლება პიროვნების კულტის, დოგმატიზმის, მედავითნეობის ყველა დანაშრევისაგან, აგრეთვე დეტალირების ელემენტებისაგან.

სკკპ ახალი პროგრამა მთელი თავისი შინაარსითა და სულისკვეთებით გამანადგურებელ ლახვარს სცემს დოგმატურ-სკოლიარულ მეთოდს და აბკვიდრებს შემოქმედებითს მიდგომას მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისადმი.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გადაუდებელი ამოცანაა უზრუნველყონ ლექციებისა და სემინარული მეცადინეობის გამდიდრება XXII ყრილობის დოკუმენტებიდან გამომდინარე ახალი დასკვნებითა და მასალებით, აგრეთვე მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე დამყარებული ახალი მონაცემებით.

შემდეგ მომხსენებელს მოჰყავს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ ნაკლოვანებებს ცალკეულ უმაღლეს სასწავლებლის ხელმძღვანელები, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა და სა ზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც კი მნიშვნელოვანწილად მოწყვეტილი არიან სტუდენტთა მასას, იშვიათად გამოდიან სტუდენტი ახალგაზრდობის წინაშე მოხსენებებით პოლიტიკურ თუ მეცნიერულ საკითხებზე, ვერ პოულობენ დროს სტუდენტებთან შეხვედრებისა და გულიანდი საუბრებისათვის, არ იცნობენ მათს მოთხოვნილებებს, ინტერესებს, განწყობილებას.

მასწავლებლის პირადი მაგალითი და ავტორიტეტი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სტუდენტების აღზრდაში. უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდობის კომუნისტური მორალის სულისკვეთებით აღმზრდელები შეიძლება იყონ მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომლებიც თვითონ წარმოადგენენ კომუნისტური იდეურობის, მეცნიერებასა და ცხოვრებაში, სასწავლო და საზოგადოებრივ მუშაობაში პრინციპულობის მაგალითს, მუშაობენ შემოქმედებითად, მჭიდროდ არიან დაკავშირებული ცხოვრებასთან, სტუდენტების მასასთან.

სტუდენტებთან თავიანთ აღმზრდელობითს მუშაობაში მასწავლებლები უნდა ითვალისწინებდნენ, რომ დღევანდელ სტუდენტობას არ გაუვლია ბრძოლის ის დიდი სკოლა, რომელიც წილად ხვდა უფროს თაობას. ეს „ხარვეზი“ უნდა შეივსოს სტუდენტებთან მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მსგელობაში. პირველ რიგში ახალგაზრდობის აღზრდაში რევოლუციური ტრადიციებით, სოციალიზმის მშენებლობასა და სამამულო ომში საბჭოთა ადამიანების შრომითი და საბრძოლო გმირობის მაგალითებით, ჩვენი სახელოვანი „შუქურების“ თაოდადებული შრომის მაგალითებით, კომუნისტური საზოგადოების განვითარების დიადი პერსპექტივებით.

XXII ყრილობამ არა მარტო გადაგვიშალა მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის შინაარსი, არამედ ამ მუშაობის გზები და მეთოდებიც განსაზღვრა. ჩვენმა პარტიამ პირველად ჩამოაყალიბა თავის პროგრამაში კომენიზმის მშენებლის მორალური კოდექსი.

ჩვენი ხალხისა და პარტიის რევოლუციური ტრადიციები უზვად გაეღენთნილია ბგირობით, სიმტკიცით, მამაცობით, თავდადებული ბრძოლით, ე. ი. ისეთი თვისებებით, რომლებიც ჩვენს ახალგაზრდობაში იქნევს სულიერ გამოხმაურებს, მიბაძვისადმი სწრაფვას, ჭაბუკთა და ქალიწვილთა შეგნებასა და გულში წარმოშობს პირად იდეალს, რომელიც რევოლუციური რომანტიკის სულისკვეთებას ასახავს.

ახალგაზრდობას დიდი მიდრეკილება აქვს მომავალზე ოცნებისკენაც; მომავალი კომუნისტური საზოგადოების კეთილშობილური იდეალები საბჭოთა ახალგაზრდობის ქცევისა და მოქმედების წამახალისებელ ძლიერ მოტივს წარმოადგენენ.

საჭიროა მივაღწიოთ, რომ თვითეული სტუდენტი უკვე ახლა ისწრაფვოდეს იცხოვროს მორალური კოდექსის შესაბამისად, ცხოვრობდეს ჩვენი ხვალინდელი დღის პერსპექტივით, რომ მან ,ზონეთოთაც და გულითაც შეიგნოს, რომ სასურველი ახალი საიდანღაც გარედან კი არ მოვა, არამედ მი მეცადინეობის, მისი შრომის, და მხოლოდ შრომის შედეგად იბადება.

კომენიზმის მშენებელთა მორალური კოდექსი სრული ზომით არ იქნება დაცული, თუ უმაღლეს სკოლაში ახალგაზრდობასთან მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა გამსჭვალული არ იქნება ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ძმური სოლიდარობის იდეებით.

XXII ყრილობამ შემდეგ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება გაფართოვდა ახალი კურსების — მეცნიერული ათეიზმის, ეთიკისა და ესთეტიკის კურსების შემოღების გზით. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სტუდენტების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდაში, მათს ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებაში.

მაგრამ შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი დისციპლინების სწავლების ფონზე შეესაბამება საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდის თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნებს? ჩვენ ეფიქრობთ, რომ არა.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ უნდა მიიღოს ზომები იმისათვის, რომ მოაწყოს ამ დისციპლინების მასწავლებელთა მომზადება და გადამზადება.

მომხსენებელი გადადის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ამოცანების გაშუქებაზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგში. მოაგონა რა დამსწრეთ პროგრამის დებულება იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებანი შეადგენენ ჩვენი საზოგადოების განვითარებისადმი ხელმძღვანელობის მეცნიერულ საფუძველს, მან ხაზგასმით აღნიშნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა გაზრდილი როლი და მნიშვნელობა და ამ დარგში კვლევითი მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა.

სსკპ პროგრამა და პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი განსაზღვრავენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში მეცნიერული კვლევის მთავარ მიმართულებებს. ეს არის კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის შესწავლა და თეორიული განზოგადება, სოციალიზმის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების და კომუნიზმში მისი გადაზრდის ძირითად კანონზომიერებათა გამოკვლევა, კომუნისტური აღზრდის საშუალებების შემუშავება, ბურჟუაზიული იდეოლოგიის, რეფორმისტული თეორიისა და პრაქტიკის, რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის დაუცხრომელი მხილება.

პარტიის XX ყრილობის შემდეგ გაბარდა ჩვენი მეცნიერების შემოქმედებითი აქტივობა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. ამან გამოხატულება ჰპოვა მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლების სკკპ ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის კათედრების მუშაობაში. საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა დარგში გაუმჯობესდა კვლევის ხარისხი, გადაიდგა მისი დამამსახა ეკონომიურ მეცნიერებას, და ხაზგასმით აღნიშნა ეკონომისტების დიდი ამოცანები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ეკონომისტმა აკადემიკოსებმა უნდა გააფართოონ კვლევითი მუშაობის მასშტაბები, მიეახლოონ იგი პრაქტიკის საჭიროებებს, დაეხმაროონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს წარმოების აღმავლობაში. ნათესბალახიანმა სისტემამ გამოიწვია მიწების მეტად არაძიხანშეწონილი გამოყენება. ეკონომისტებს ღრმა ანალიზი რომ გაეკეთებინათ ამ სისტემის გამოყენებისათვის, ისინი ძვირფას მითითებებს მისცემდნენ პრაქტიკას.

გადაჭრით გაუსვა რა ხაზი იმას, რომ საჭიროა ეკონომიური მეცნიერების, აგრეთვე სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა უფრო გაბედული მობრუნება პრაქტიკასთან კავშირის განმტკიცებისაკენ, სახალხო მეურნეობის, სახელმწიფო და კულტურული მშენებლობის დიდი პრობლემების დამუშავებისაკენ, მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ მეცნიერული კვლევა ჩვენთვის თვითმიზანი კი არ არის, არამედ იგი გზას უნდა უნათებდეს და ეხმარებოდეს პრაქტიკას. ეკონომისტებს, ფილოსოფოსებს, სამართლის მეცნიერთა ამოცანა ის არის, რომ ღრმა მეცნიერული კვლევის საფუძველზე მისცენ მეგზავ და ხელმძღვანელ ორგანოებს რეკომენდაციები ეკონომიური პოლიტიკისა და პრაქტიკის, საწარმოო და სამართლებრივი ურთიერთობის სრულყოფის, სახელმწიფო მშენებლობისა და სხვა დარგში. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ყამირის მხარის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1961 წლის მარტში თქვა: „ეკონომიური მეცნიერება არ შეიძლება კუდში მიჩანჩალებდეს, იგი ქმედითს დახმარებას უნდა უწევდეს საბჭოთა ადამიანებს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის თეორიულ გააზრებაში, თანამედროვე პირობებში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველაზე ეფექტური ორგანიზაციის პრობლემების დამუშავებაში“.

დიდი და რთული ამოცანები დგას ამჟამად მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნებს შორის შრომის განაწილების განვითარებასთან დაკავშირებით. საჭიროა კაპიტალური ნაშრომები შრომის საერთაშორისო განაწილების განვითარების ძირითადი პრინციპებისა და პერსპექტივების, სპეციალიზაციისა და კოოპერირების, მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების კანონზომიერებათა შესახებ.

შემდეგ მომხსენებელმა დაახასიათა ეკონომისტების ამოცანები სუსტად განვითარებული ქვეყნების და იმპერიალისტური სახელმწიფოების პრობლემების კვლევაში.

დიდი ამოცანები დგას მეცნიერების წინაშე სამამული ისტორიის დარგში, ისტორიული პრობლემების მეცნიერული დამუშავება ფართო ფრონტით უნდა წარმოებდეს.

დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანა უნდა გადაჭრან საბჭოთა ისტორიკოსებმა — შექმნან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მრავალტომიანი ისტორია. სკკპ ისტორიის მრავალტომიანი მეცნიერული შრომის შექმნა, რომელშიც ღრმა მარქსისტული ანალიზის საფუძველზე ყოველმხრივ უნდა იყოს გაშუქებული პარტიის ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებისა და განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის, მოკავშირე რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციებისა და სხვა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, — ეს მთელი პარტიული საზოგადოებრობის, ისტორიულ-პარტიული ფრონტის ყველა მუშაკის, უმაღლეს სასწავლებლთა შესაბამისი კათედრების საქმეა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების განზოგადებას ჩვენს დროში, კომენიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში.

შემდეგ მომხსენებელმა გააშუქა ამოცანები, რომლებიც დგას მსოფლიო ისტორიის დარგში მომუშავე მეცნიერების წინაშე.

ჩვენი მეცნიერების მიერ სოციალისტური სახელმწიფოების მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ჩვენებას, მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპებისა და მსოფლიო ომის თავიდან აცილების შესაძლებლობის ღრმა განმარტებას თან უნდა ახლდეს იმპერიალისტური ქვეყნებისა და მათი ფინანსურ-სამრეწველო ოლიგარქიების აგრესიული პოლიტიკის, სამხედრო ბლოკების საქმიანობის მხილება. განსაკუთრებით საჭიროა ამერიკის იმპერიალისტების — საერთაშორისო რეაქციის მთავარი დასაყრდენის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ანალიზი.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად ჩვენი მეცნიერები მოვალენი არიან შექმნან მეორე მსოფლიო ომის მარქსისტული ისტორია, კოლონიალიზმისა და მილიტარიზმის ისტორია, აგრეთვე მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ისტორია.

მუშაობა კლასის ერთიანობისათვის, მისი რიგების გათიშვის წინააღმდეგ კომუნისტური პარტიების ბრძოლის გაღრმავებლებს განზოგადება აგრეთვე წარმოადგენს საბჭოთა ისტორიკოსების დიდმნიშვნელოვან ამოცანას.

პარტია და საბჭოთა ხალხი ისტორიკოსებისაგან მოელიან ჩვენი ეპოქის შეაფერ მეცნიერულ

სკკპ XXII ყრილობა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ამოცანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ სერიოზულად მოჰკიდოს ხელი საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში კვლევის კოორდინაციის საკითხებს, შეისწავლონ და განაზოგადონ გამოცდილება, რომელიც შეიძინეს ჩვენი ქვეყნის მთელმა რიგმა უმაღლესმა სასწავლებლებმა და კაბინეტებმა.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კვლევის საერთო დონის ამაღლებაში ნაკლებმნიშვნელოვანი როლი როდი ეკუთვნის მეცნიერულ ჟურნალებს. მათ ჯერ მარტო უნდა აღნუსხონ ის, რაც უკვე მოიპოვა მეცნიერებამ, არამედ . ზეგავლენაც უნდა მოახდინონ თვით მეცნიერების განვითარებაზე, დაუსახონ მეცნიერებს ცოდნის მიერ წამოყენებული ახალი პრობლემები. თუმცა ამ უკანასკნელ წლებში ჩვენმა მეცნიერულმა ჟურნალებმა — „ვოპროსი ისტორიი კასს", „ვოპროსი ფილოსოფიი", „ვოპროსი ეკონომიკი", „ვოპროსი ისტორიი" და სხვ. — რამდენადმე აამაღლეს თეორიული დონე, მაგრამ ისინი მაინც სრულად ვერ ართმევენ თავს თავიანთ ამოცანებს. ისინი ჯერ კიდევ ნაკლებად აღძრავენ ხოლმე კომუნისტური მშენებლობის დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, თანამედროვეობის დიდ თეორიულ საკითხებს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს ჟურნალების მუშაობის მეცნიერულ-თეორიული დონის ამაღლება, რათა ისინი ასახავდნენ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების თანამედროვე დონეს.

მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო ბრძოლას ანტიკომუნიზმის, სოციალ-რეფორმიზმის, რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ.

თანამედროვე მსოფლიოში წარმოებს ორი იდეოლოგიის — კომუნისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიების გაფფრებული ბრძოლა. XX ყრილობის კურსის შესუსტების მიზნით სოციალისტური ბანაკის მტრებმა გაძლიერეს ანტიკომუნიზმის პროპაგანდა. პოლიტიკურმა და თეორიულმა დასკვნებმა და თანამედროვე საერთაშორისო ვითარების შეფასებებმა, რომლებიც მოწონებულია ჩვენი და სხვა მოძმე პარტიების ყრილობათა გადაწყვეტილებებში, კომუნისტური პარტიების 1957 და 1960 წლების თათბირების დოკუმენტებში, გამოიწვია ავრეთვე რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის გაძლიერება საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ცალკეული რაზმების ყველაზე მერყევ ნაწილში.

კომუნიზმზე მისი აშკარა და ფარული მტრების მხრივ გაძლიერებული ერიშების გამო საჭიროა განუწყვეტლივ იზრდებოდეს თეორიული ფრონტის ჩვენი, მუშაკების ღონისძიებანი მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგრამ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისა და ამ მეცნიერებათა დარგში საბჭოეთ-კვლევითი მუშაობის სერიოზული ნაკლია ჯერ კიდევ სუსტი კავშირი იმ მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლასთან, რომელსაც ჩვენი პარტია და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა ეწევიან მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ. თანამედროვე ბურჟუაზიული, რეფორმისტული, ავრეთვე რევიზიონისტული და დოგმატური კონცეპციების შბილება შემთხვევიდან შემთხვევამდე წარმობს. ეს დაბლა სწევს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონეს.

მომხსენებელი შეეხო ანტიკომუნიზმის, როგორც იმპერიალიზმის მთავარი იდეურ-პოლიტიკური იარაღის არსს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწორი არ იქნება ანტიკომუნიზმი მივიჩნიოთ მხოლოდ კომუნიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ იმპერიალისტების ბრძოლის იდეოლოგიად. ანტიკომუნიზმის საფარით იმპერიალისტური ბურჟუაზია აწარმოებს ბრძოლას მთელი ანტიიმპერიალისტური და, მაშასადამე, დემოკრატიული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი პროგრესული ძალების წინააღმდეგ. ყოველგვარ ანტიმპერიალისტურ მოძრაობას მისი რეალური კლასობრივი შინაარსის მიუხედავად ბურჟუაზია კომუნიზმად აცხადებს.

ჩვენი ფილოსოფოსების, ეკონომისტების, ისტორიკოსების ამოცანაა აწარმოონ არა კამპანიური, არამედ სისტემური და შეუპოვარი მუშაობა ანტიკომუნიზმის იდეოლოგიის მხილებისათვის.

ზოგიერთ ადამიანს ებადება კითხვა, ამბობს ამხ. სუსლოვი: შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა იდეოლოგიის დარგშიც არის? — რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

განვიხილოთ ეს საკითხი საშინაო და საგარეო პლანით. სსრ კავშირში ადამიანთა ერთ ნაწილში ჯერ კიდევ დარჩენილია კაპიტალიზმის გადმონაშთები. ეს გადმონაშთები გამოიხატება მუქთახორობით, ქურდობით, მექრთამეობით, ხელგაზნობით, ბიუროკრატიზმით, ფელეგური იდეოლოგიით, ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და საერთოდ ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებებით და სხვ. შესაძლებელია თუ არა ჩვენი სოციალისტური იდეოლოგიის მშვიდობიანი თანაარსებობა ამგვარ მოვლენებთან? ეს შეუძლებელია, ეს შეუძლებელია, რადგან ღალატი იქნება კომუნიზმის ინტერესებისა.

ჩვენ დიდი ხანია დავასამარეთ ბურჟუაზიული ექსპლოატატორული წესწყობილება ჩვენს ქვეყანაში, ჩვენში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ბურჟუაზიულ იდეოლოგიასაც, რომელიც იცავს ჩვენს მიერ დასამარებულ წესწყობილებას. აქ შეიძლება იყოს მხოლოდ უკომპრომისო და გადამწყვეტი ბრძოლა.

ავიღოთ ახლა დასმული საკითხი საგარეო პლანით. რას წარმოადგენს ახლა ბურჟუაზიული იდეოლოგია? ეს არის ღვარძლიანი ანტიკომუნიზმი, კომუნიზმისადმი სიძულვილის პროპაგანდა, სოციალიზმის წინააღმდეგ გაფფრებული ციხეებიდან, ომის აგრესიის პროპაგანდა, დაქირავებული მონობისა და კოლონიური ჩაგვრის სისტემის იდეოლოგიური დაცვა.

შესაძლოა თუ არა რაიმე შერიგება, კომპრომისი, თუნდაც დროებითი, ამ იდეოლოგიასთან? ეს შეუძლებელია, წარმოუდგენელია. ეს იქნებოდა კომუნისტების იდეური განიარაღება, ეს იქნებოდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განიარაღება.

მშვიდობიანი თანაარსებობა ნიშნავს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა თანაარსებობას. ეს ნიშნავს ომებზე უარის თქმას, სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების გადაჭრას მოლაპარაკების გზით. ეს არის უარის თქმა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაზე, უარის თქმა რევოლუციის ექსპორტსა და კონტრრევოლუციის ექსპორტზე. ბოლოს, მშვიდობიანი თანაარსებობა არის სახელმწიფოთა ეკონომიური შეჯიბრება, ხელშეკრულებები, სავაჭრო ურთიერთობა სახელმწიფოთა ურთიერთ სარგებლობის საფუძველზე.

იმისათვის, რომ იყოს მშვიდობიანი თანაარსებობა, თავიდან უნდა აიცილოთ ომი, ხოლო თანამედროვე პირობებში ომის თავიდან აცილება შეიძლება. ყოველივე ამასთან არ შეიძლება გამოვრიცხოთ იდეოლოგიური ბრძოლა ორ სისტემას შორის. ორი ერთმანეთის პირდაპირ საწინააღმდეგო იდეოლოგიის, ბურჟუაზიული და სოციალისტური იდეოლოგიების მშვიდობიანი თანაარსებობა უაზრობაა, ეს არ შეიძლება მოხდეს. რაკი არსებობს სხვადასხვა სიზოგადოებრივი სისტემა, გარდუვალია ავრეთვე ბრძოლა ამ სისტემების იდეოლოგიებს შორის. ამოცანა ის არის, რომ ეს იდეური ბრძოლა არ გადაიზარდოს შეიარაღებულ შეტაკებად. შეიარაღებული ბრძოლა შეიძლება თავიდან აიცილოთ, იდეოლოგიური ბრძოლა გარდუვალია. ამისანაი ხუთშიზოი თავის ბროშურაში „მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ", ეხება რა ორ იდეოლოგიას შორის ბრძოლის გარდუვალობას, ხაზგასმით აღნიშნავს: „მთავარია დავრჩეთ იდეოლოგიური ბრძოლის პოზიციებზე, არ ავამაქმედოთ იარაღი ამისათვის, რომ თავისი გავიტანოთ".

სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური ურთიერთობის დარგში შესაძლებელია გონივრული კომპრომისები. იდეოლოგიის დარგში კი არ შეიძლება იყოს დათმობა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინაშე, არ შეიძლება იყოს ხელის აღება ჩვენი იდეოლოგიის პრინციპებზე.

კომუნისტური აღზრდა შეუძლებელია, თუ არ იქნა უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და ადამინთა შეგნებასა და ყოფაქცევაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ. კომუნისტური, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დამკვიდრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის გამარჯვების უზრუნველყოფისათვის სოციალიზმის ეკონომიურ შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან საერთაშორისო ასპარეზზე.

რას ემყარება ჩვენი ღრმა რწმენა, რომ სოციალიზმი გიმარჯვებს კაპიტალიზმზე ეკონომიურ შეჯიბრებაში? იგი ემყარება უწინარეს ყოვლისა სოციალისტური წყობილების უდიდეს უპირატესობებს კაპიტალისტურის წინაშე. მაგრამ სოციალიზმის ეს გამარჯვება კაპიტალიზმზე თვითდინებით, თავისთავად, სტიქიურად როდი მოვა. იგი დამოკიდებული იქნება ჩვენს უნარზე გამოვიყენოთ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობანი, მისი უფრო სწრაფი, ციდრე კაპიტალიზმის დროს, ეკონომიური, მეცნიერული და ტექნიკური განვითარება. იგი განხორციელდება ჩვენი უნარით გამოვავლინოთ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებანი და გამოვიყენოთ ისინი სოციალიზმის ინტერესებისათვის. ამ უნარს კი საფუძვლად უდევს მარქსისტულ-ლენინური სოციალისტური მეთოდი, მაშასადამე, კაპიტალიზმთან სოციალიზმის ეკონომიურ შეჯიბრებაშიც უნდა დავამკვიდროთ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, მაღალ გვეპროს ჩვენი მოძღვრების დროშა.

სოციალიზმის გამარჯვების კაპიტალიზმზე ეკონომიურ შეჯიბრებაში საბოლოო ანგარიშით გადაწყვეტს კომუნიზმის მშენებელი მთელი საბჭოთა ხალხი. არა თვითდინებით, არამედ თფილი შრომით გმირობით, მაღალი შეგნებულობით, იმით, რომ იგი შეიარაღებულია უძლეველი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, აღჭურვილია უფრო მაღალი მორალური თვისებებით, რომლებიც თავისუფლია გახრწნილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთებისა და გადმონაშთებისაგან.

ამრიგად, ვახორციელებთ რა სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას და ვაჩაღებთ რა ეკონომიურ შეჯიბრებას, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სოციალისტური სისტემის უპირატესობანი კაპიტალისტური სისტემის წინაშე. მაშასადამე, ჩვენ შეურიგებელ და, მტკიცე ბრძოლას უნდა ვეწეოდეთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. ეს ჩვენი გამარჯვების იუკლებელი პირობაა. ჩვენ მაღლა უნდა გვეჭიროს და წმინდად ვიცავდეთ მარქს-ენგელს-ლენინის დიდ საბრძოლო დროშას.

„...ბურჟუაზიული ან სოციალისტური იდეოლოგია. აქ საშუალო არ არის... — წერდა ლენინი. — ამიტომ სოციალისტური იდეოლოგიის **ყოველგვარი** დაკნინება, მისგან **ყოველგვარი დაშორება** ამავე დროს ნიშნავს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას".

ან არის და არ შეიძლება იყოს არაევროპარი მშვიდობიანი თანაარსებობა და შერიგება ბურჟუაზიულ იდეოლოგიასა და სოციალისტურ იდეოლოგიას შორის.

აქტიური ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ აგრეთვე სოციალ-რეფორმიზმის წინააღმდეგ, თანამედროვე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ არის ბურჟუაზიის უმნიშვნელოვანესი იდეური და პოლიტიკური დასაყრდენი მუშათა მოძრაობაში. ახლა შესამჩნევია სოციალ-რეფორმისტული იდეოლოგიის სწრაფი ევოლუცია მარჯვნივ, მის მიერ იმ ფუნქციების შესრულება, რომლებიც წინათ დამახასიათებელი იყო აშკარა ბურჟუაზიული იდეოლოგიისათვის. ამ უკანასკნელ წლებში ავსტრიის, დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთისა და ევროპის სხვა მემარჯვენე სოციალისტური პარტიების მიერ მიღებულ პროგრამებში უკვე ალარ არის „მარქსიზმზმანას თამაში". როგორც ცნობილია, დასავლეთგერმანელმა სოციალ-დემოკრატმა ლომარმა „მარქსიზმი როგორც ფილოსოფიური და სოციალური მოძღვრება სოციალ-დემოკრატებმა თავიანთ ისტორიულ არქივს ჩაბარეს". ზოგიერთი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატი ლიდერი ამქარად დაადგა იმპერიალიზმის პოზიციებს, სრული კაპიტულაცია მოახდინა რეაქციული, კონსერვატიული ძალების წინაშე.

საჭიროა ცხადყოთ „მეორე სამრეწველო რევოლუციის", „წმინდა დემოკრატიის", „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს", „შერეული ეკონომიკის" თეორიის, ეგრეთწოდებული „ეთიკური", „დემოკრატიული სოციალიზმის" თანამედროვე სოციალ-რეფორმისტული კონცეპციების მთელი უსაფუძვლობა.

ჩვენი თეორიული ფრონტის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა მუშაკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა კვლავ **არის კომუნისტურ მოძრაობაში რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის ღრმა მხილება.**

ბურჟუაზიული იდეოლოგიის მზარდი კრიზისის პერიოდში იმპერიალისტებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სამსახური რევიზიონიზმისა, რომელიც ახლანდელ პირობებში მთავარ საფრთხეს წარმოადგენს. თავისი სოციალური ბუნებით რევიზიონიზმი არის ბურჟუაზიული იდეოლოგია, კომუნისტურ მოძრაობაში ბურჟუაზიული იდეების შეღწევის შედეგი, მემარჯვენე ოპორტუნისტული მიმდინარეობა, რომელიც იწვევს მუშების, მშრომელი მასების განიარაღებასა და დემობილიზაციას მათს ბრძოლაში იმპერიალისტური და ექსპლოატატორული ჩაგვრის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული განთავისუფლებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

რამდენიმე წლის წინათ რევიზიონიზმმა განსაკუთრებით სამშინა ხასიათი მიიღო. მაგრამ მძლავრი დარტყმების შედეგად, რომლებიც რევიზიონიზმს მიაყენა უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, სხვა მოძმე პარტიებმა, იგი იდეურად განადგურდა.

მაგრამ რევიზიონიზმის საშიშროება რჩება. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის მოღალატეები არა თუ ხელს არ იღებენ თავიანთ რევიზიონისტულ პროგრამაზე, არამედ გაძლიერებით უწევენ მას რეკლამას. ჩვენი პოზიცია რევიზიონიზმის მიმართ უცვლელი რჩება: ჩვენ გადაჭრით უნდა ვაკრიტიკებდეთ ყველას, ვინც გადაუდგა მარქსიზმ-ლენინიზმს.

რევიზიონიზმი თანამედროვე მსოფლიო განვითარების პრობლემათა მარქსისტულ-ლენინურ გაგებას უპირისპირებს შეხედულებებს, რომლებიც ახლებით მოასწავებენ კაპიტალიზმის ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და პოლიტიკის წინაშე. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის საკითხებში რევიზიონისტები ერთ კომპანიაში არიან მემარჯვენე სოციალისტებთან. ზოგიერთი ქვეყანაში რევოლუციის მშვიდობიანი გზის შესაძლებლობას ისინი განმარტავენ როგორც საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნაზე, სოციალისტურ რევოლუციასა და პროლეტარიატის დიქტატურაზე უარის თქმას.

მარქსიზმ-ლენინიზმს სერიოზულად ამახინჯებენ პრაქტიკასა და თეორიაში **დოგმატიკოსები.** ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ არ ვაწარმოებთ თანმიმდევრულ ბრძოლას, ისინიც შეიძლება გახდნენ მთავარი საფრთხე ცალკეული პარტიების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

დოგმატიზმი პრაქტიკისაგან თეორიის მოწყვეტის ყველაზე საშინი ფორმაა. მარქსიზმ-ლენინიზმისადმი მოჩვენებითი ერთგულების ნიღბით დოგმატიზმი, მიმარცხენე ოპორტუნიზმი დიდ ზიანს აყენებენ რევოლუციურ თეორიასა და პრაქტიკას, სოციალიზმს. იმის ცდა, რომ გაეფიშნა ცხოვრებას, ამოფფარონ ცდატების გროვას და დაეძალონ ცხოვრებას, ნიშნავს იმას, რომ არ შესწევთ უნარი ან არ სურთ შეაფასონ ახალი ისტორიული ვითარება, შემოქმედებითად გამოიყენონ და განავითარონ ახალ, შეცვლილ პირობებში მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი პრინციპები. ეს იწვევს კომუნისტების ოზოლიციას მშრომელთა ფართო ფენებისაგან, მათ პასიურ ლოდინს ან მომეარცხენო, ავანტიურულ, ცრუ რევოლუციურ მოქმედებას. ჯიუტობა დოგმატურ სიქანტური პოზიციების დაცვაში ხელს უშლის მათ სწორად შეაფასონ შექმნილი ვითარება, მუშათა კლასის და კომუნიზმის საქმის ინტერესებისათვის გამოიყენონ ახალი წარმოშობილი შესაძლებლობანი.

ამასთან მარქსიზმის დოგმატური, მომემარცხენო დამახინჯებანი კვებავენ რევიზიონიზმს, ქმნიან მისთვის ხელსაყრელ მასაზრდოებელ გარემოს, შეუძლებელია წარმატებით ებრძოლოთ რევიზიონიზმს, ამოვიძირკვოთ იგი კომუნისტური გარემოდან, თუ არ დავძლიეთ, არ აღმოვფხვრათ მარქსიზმის დოგმატური დამახინჯებანი.

ყველაზე კონცენტრირებული სახით დოგმატურ პოზიციებს გამოხატავენ ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელები. ისინი ინიციატორნ მემარცხენე ფრაზით, მოჩვენებითი რევოლუციურობით და აშკარად უკეთებენ რევიზიას მარქსიზმ-ლენინიზმს უმნიშვნელოვანეს დებულებებს, ნაციონალისტური და ავანტიურისტული ხაზით ცვლიან მათ.

„დავენენ რა ნაციონალიზმის ჭაობში, ალბანეთის ახლანდელი ხელმძღვანელნი სულ უფრო აშკარად გადადიან დოგმატური პოზიციებიდან სკკპ და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის პოზიციებზე. ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელებმა იმ პრინციპების რევიზიით დაიწყეს, რომლებიც ყველა ქვეყნის კომუნისტებმა ბითად მოასწავებენ კაპიტულაციას ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და პოლიტიკის წინაშე. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის საკითხებში რევიზიონისტები ერთ კომპანიაში არიან მემარჯვენე სოციალისტებთან. ზოგიერთი ქვეყანაში რევოლუციის მშვიდობიანი გზის შესაძლებლობას ისინი განმარტავენ როგორც საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნაზე, სოციალისტურ რევოლუციასა და პროლეტარიატის დიქტატურაზე უარის თქმას.

მარქსიზმ-ლენინიზმს სერიოზულად ამახინჯებენ პრაქტიკასა და თეორიაში **დოგმატიკოსები.** ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ არ ვაწარმოებთ თანმიმდევრულ ბრძოლას, ისინიც შეიძლება გახდნენ მთავარი საფრთხე ცალკეული პარტიების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

დოგმატიზმი პრაქტიკისაგან თეორიის მოწყვეტის ყველაზე საშინი ფორმაა. მარქსიზმ-ლენინიზმისადმი მოჩვენებითი ერთგულების ნიღბით დოგმატიზმი, მიმარცხენე ოპორტუნიზმი დიდ ზიანს აყენებენ რევოლუციურ თეორიასა და პრაქტიკას, სოციალიზმს. იმის ცდა, რომ გაეფიშნა ცხოვრებას, ამოფფარონ ცდატების გროვას და დაეძალონ ცხოვრებას, ნიშნავს იმას, რომ არ შესწევთ უნარი ან არ სურთ შეაფასონ ახალი ისტორიული ვითარება, შემოქმედებითად გამოიყენონ და განავითარონ ახალ, შეცვლილ პირობებში მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი პრინციპები. ეს იწვევს კომუნისტების ოზოლიციას მშრომელთა ფართო ფენებისაგან, მათ პასიურ ლოდინს ან მომეარცხენო, ავანტიურულ, ცრუ რევოლუციურ მოქმედებას. ჯიუტობა დოგმატურ სიქანტური პოზიციების დაცვაში ხელს უშლის მათ სწორად შეაფასონ შექმნილი ვითარება, მუშათა კლასის და კომუნიზმის საქმის ინტერესებისათვის გამოიყენონ ახალი წარმოშობილი შესაძლებლობანი.

ამასთან მარქსიზმის დოგმატური, მომემარცხენო დამახინჯებანი კვებავენ რევიზიონიზმს, ქმნიან მისთვის ხელსაყრელ მასაზრდოებელ გარემოს, შეუძლებელია წარმატებით ებრძოლოთ რევიზიონიზმს, ამოვიძირკვოთ იგი კომუნისტური გარემოდან, თუ არ დავძლიეთ, არ აღმოვფხვრათ მარქსიზმის დოგმატური დამახინჯებანი.

ყველაზე კონცენტრირებული სახით დოგმატურ პოზიციებს გამოხატავენ ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელები. ისინი ინიციატორნ მემარცხენე ფრაზით, მოჩვენებითი რევოლუციურობით და აშკარად უკეთებენ რევიზიას მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანეს დებულებებს, ნაციონალისტური და ავანტიურისტული ხაზით ცვლიან მათ.

„ალბანეთის ნიშნით, წერს „ავანტი", ადამიანებმა „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციიდან" უნდა დაიწყონ ჭეველობანი მე-5 რესპუბლიკის ლიკვიდაციის მიზნით. ამ ადამიანებს უკვე მიეცათ ინსტრუქციები.

ამ გეგმით კომუნისტური პარტიის ყველა ხელმძღვანელი, დაწყებული ტოროუნით, ყველა დემოკრატი—„საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის" მეტრენი, ფიზიკურად უნდა მოისპოს. სპეციალურმა რაზმებმა რამდენიმე წუთში ერთსა და იმავე დროს უნდა დაიკავონ ელჩესეს სასახლე, სასტუმრო „მატრიროლი", სამინისტროები, რადიოსადგური და სატელეფონო ცენტრი, პოლიციისა და ყანდარმერიის სამმართველოები, ყაზარმები, რკინიგზის სადგურები და აეროპორტები.

ამ დროს ვენსენის ტყეში შეიკრიბება „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის" ყველა მომხრე; იქ მათ მისცემენ იარაღს, რათა მზარი დაუჭირონ დამკვრელ რაზმებს, მაშინ როცა სხვა ჯგუფებმა პარიზის ყველა კიდეზე უნდა გააკრან წინასწარ დაბეჭდილი ფურცლები.

ამ ფურცლებში ალეიერის რეკის ფონზე პროფილით გამოსახულია ოფიცერი, (რომელიც ძალიან ჰგავს სალანს), რომელსაც ჩახუტებული ჰყავს გრძნობადაკარგული მარიანა. თავისი ფრიგიული ქუდი რომ დაუკარგავს. ქვემოთ არის წარწერა: „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაცია" იხსნის საფრანგეთს".

ამავე დროს რადიოთი გადასცემენ სალანის ცნობას, უკვე ჩაწერილს ფირზე. „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის" მეთაური გამოაცხადებს, რომ არმიამ ხელი აიღო ძალაუფლება, რომ დეგოლი დამხობილია და რომ მარშალი ქოუენი დაიკავებს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტს.

გამოცხადდება ავრეთვე „საზოგადოებრივი ხსნის „მთავრობის შექმნა, რომელშიც უნდა შევიდნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ანტუან პინე, საგარეო საქმეთა მინისტრად ჟორჟ ბიდო, შინაგან საქმეთა მინისტრად ჟაკ სუსტელი. სალანი შეინარჩუნებს შეიარაღებული ძალების მინისტრის პოსტს და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტს,

„საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის" დამკვრელი ჯგუფების დასახმარებლად მეცალიდან ჩამოვლენ გენერალ მასიუს პარაშუტისტები, მაშინ როცა ალეიერში სარდლის პოსტს დაიკავებს პოლკოვნიკი გარდი. როცა დაიწყება „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის" გამოსვლები პარიზში, საფრანგეთის ყველა მთავარ ქალაქში — მარსელში, ნიცაში, სტრასბურგში, ლილში მოეწყობა ანალოგიური ოპერაციები.

ლამლამობით პისტოლეტებით, მოკლეულლიანი სპეციალური ავტომატებით, გრანატებით და თვითნაკეთი ბომბებით თავითფეხმდე შეიარაღებული, ნაჩარაღ სამხედრო ფეხდირებით გამოწყობილი ეს ადამიანები სამხედრო ავტომანქანებით გამოდიან ვენსენის სასახლიდან, რათა ჩაიდინონ თავიანთი დანიშნულებანი. ამის შემდეგ ისინი დაუბრკოლებლად ბრუნდებიან ყაზარმაში. ამ დამკვრელ ჯგუფს უნდა დემატოს კიდევ რამდენიმე ასეული კაცი, რომლებიც მეზობლად ცხოვრობენ ვენსენის ახალი სასახლის რაიონში; მათ მეთაურობს სალანის ძმაშვილი, საპარაშუტო ჯარების მაიორი ოლე.

ფე-ს გვერდი, სამშაბათი,
6 თებერვალი, 1962 წ.

მეგობრული საჩუქარი

ბუქარესტი, 3 თებერვალი. (საკდესი). რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ გეორგე გეორგიუ-დეჟმა მიიღო სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუმინეთში ი. კ. ჟეგალინი. როგორც აჯერ-პრესის სააგენტო იუწყება, საბჭოთა ელჩმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გ. გეორგიუ-დეჟს გადასცა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის საჩუქრად დოკუმენტური კინოფილმი „მარადიული მეგობრობა და ძმობა", რომელიც ასახავს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საბჭოთა კავშირში 1961 წლის ზაფხულს. გეორგე გეორგიუ-დეჟმა მხურვალე მადლობა გადაუხადა ი. კ. ჟეგალინს საჩუქრისათვის.

ი. გაგარინის პრეს-კონფერენცია

კაირო, 3 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტები ფ. ნოსოვი და ა. ზვორიკინი იუწყებიან:

მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ი. ა. გაგარინი, რომელიც ვიზიტად იმყოფება აქ, გუშინ გამოვიდა პრეს-კონფერენციაზე, რომელიც ორგანიზებულ იქნა თანაბრად ეგვიპტელ ჟურნალისტებისა და ოფიციალურ ინფორმაციის დეპარტამენტმა მოაწყო ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

ი. ა. გაგარინმა უპასუხა ჟურნალისტთა მრავალ კითხვაზე. იუნატედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტის კითხვაზე, თუ როგორია, მისი აზრით, შეერთებული შტატების ჩამორჩენა საბჭოთა კავშირისაგან კოსმოსის ათვისების დარგში და რას ფიქრობს იგი ამ ჩამორჩენის ლიკვიდაციის შესაძლებლობის შესახებ, გაგარინმა უპასუხა: „კორესპონდენტისათვის, რომელმაც ეს კითხვა მომცა, ალბად, უკვე ცნობილია პასუხი მასზე. თვით ამერიკის პრესის ცნობების თანახმად, ეს ჩამორჩენა შეადგენს დაახლოებით 2-3 წელიწადს. მაგრამ ყოველივე ამაზე უნდა ვიმსჯელოთ ფაქტების მიხედვით. ჩვენ, სსრ კავშირში, განვახორციელეთ ორი კოსმოსური გაფრენა. შეერთებული შტატების წარუმატებლობაზე კი შეგვიძლია ვიმსჯელოთ, კერძოდ, იმ ფაქტის მიხედვით, რომ ბ-ნი ჯონ გლენი 4 საათს იყო კოსმოსური რაკეტის კაფსულში და იძულებული გახდა გამოსულიყო ისე, რომ არ გაფრენილა. ეს თავისთავად მოწმობს, რომ ასეთი ჩამორჩენა არსებობს".

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ერთ-ერთმა კორესპონდენტმა პრესკონფერენციაზე თქვა, რომ მიღებულია ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ი. ა. გაგარინის დასახელების შესახებ მომავალ მარტის არჩევნებში, და, მიეღოცა რა კოსმონავტს, სთხოვა რამდენიმე სიტყვა ეთქვა ამასთან დაკავშირებით.

კოსმონავტმა უპასუხა: „მადლობას მოვახსენებ კორესპონდენტს მოლოცვისათვის და დიდ პატივად მიმაჩნია, რომ დასახელებული ვარ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ჩვენი კონსტიტუციის თანახმად, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ჩვენი ხალხის მსახურნი არიან, და თუ ამირჩიეს, მთელ ჩემს ძალღონესა და ცოდნას მოვახმარ ხალხისადმი სამსახურს".

პრესის წარმომადგენლებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს კოსმონავტის პასუხი კითხვებზე მისი გაფრენის შესახებ და მქუხარე ტაშით მიესალმნენ მას.

პრეს-კონფერენციას დაესწრო გაზეთების, **რადიოსა და ტელევიზიის 150-ზე** მეტი კორესპონდენტი.

ტელეგრაფი გვაცნობებს

რიო-დე-ჟანეირო, 3 თებერვალი. (საკდესი). ვადა გაუვიდა ბრაზილია-ამერიკის შეთანხმების მოქმედებას იმის შესახებ, რომ ბრაზილიის კუნძულ ფერნანდუდი-ნორონიაზე შექმნილიყო მართული ყუმბარების ბაზა და ხუთი წლით გადაეცათ ეს კუნძული ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. როგორც ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, ბრაზილიამ არ მოისურვა შეთანხმების განახლება. შეთანხმების პირობების თანახმად, ხუთი წლის ვადის გასვლის შემდეგ ყველა დანადგარი, რომლებიც ამერიკელებმა შექმნეს ბაზაში, უნდა გადავიდეს ბრაზილიის განკარგულებაში.

ათენი, 3 თებერვალი. (საკდესი). საბერძნეთის ერთიანმა დემოკრატიულმა მემარცხენე პარტიამ საბერძნეთის მთავრობისაგან მოითხოვა დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს დეპუტატი მანოლის გლეზოსი. პარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პაპადიმიტრიუმ საკითხი მისი გათავისუფლების შესახებ პარლამენტის განსახილველად შეიტანა.

თუმცა სამ თვეზე მეტი გავიდა პარლამენტის არჩევნებიდან, რაც გლეზოსი დეპუტატად აირჩიეს, იგი კვლავ საპყრობილეში ჰყავთ, განაცხადა პაპადიმიტრიუმ. ესაა პარლამენტარიზმის პრინციპების აღმაფფოთებელი დარღვევა, სურვილის ულონობა ანგარიში გაუწიონ ხალხის ნებას. არც საზოგადოებრიობა, არც პარლამენტი არ უნდა შე

ლიტერატურა და ხელოვნება

ა. ს. პუშკინის ბიბლიოთეკა

1837–1962

დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე სერგეის-ძე პუშკინის ბრწყინვალე, ტიტანური შრომითა და ბრძოლით აღსავსე ცხოვრება იფერფლებოდა. დუელის დროს სასიკვდილოდ დაჭრილი იწვა იგი დიванზე თავის კაბინეტში, საშინელ ტანჯვას განიცდიდა. და აი ამ მძიმე წუთებში პუშკინმა, როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, გაახლა თვალი, უსიცოცხლო მზერა მოავლო ოთახს და ჩურჩულით თქვა: „მშვიდობით, მშვიდობით, მეგობრებო!“

ვის ეთხოვებოდა თავისი სიცოცხლის ამ უკანასკნელ წუთებში ხალხის საყვარელი პოეტი? კის ეუბნებოდა უკანასკნელად „მშვიდობითო“? მომაკვდავის სასთუმალთან მყოფი მისი ახლო მეგობრები ჟუკოვსკი, დალი, დანზასი და მკურნალი ექიმი სპასკი თვალის მოძრაობით მიხვდნენ: იგი ეთხოვებოდა თავის ბიბლიოთეკას, წიგნებს, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე იკვნენ მისი ერთგული მეგობრები, კეთილი მრჩევლები, ნათელი სიხარულის წყარო.

ოც წელიწადზე მეტ ხანს აგროვებდა პოეტი თავის ბიბლიოთეკას — იწერდა წიგნებს პარიზიდან, ყიდულობდა მოსკოვისა და პეტერბურგის წიგნის დუქნებში, ეძებდა ბუკინისტებთან. საკუთარი ბიბლიოთეკის შექმნის ოცნება ჭაბუკ პუშკინს ჯერ კიდევ ლიცეუმში დაებადა, მაგრამ მის განხორციელებას იგი გაცილებით უფრო გვიან შეუდგა, როდესაც ოდესაში იყო. პოეტი მაშინ წერდა, „გვაგარ მემინეს, რომელიც უკანასკნელი გროშებით ყიდულობს მისთვის საჭირო ალმასებს“.

იმ დროს ა. ს. პუშკინი მატერიალურად მეტად ხელმოკლედ იყო, მაგრამ წიგნებისათვის ფულს არ იშურებდა. მის შესანშნავ ბიბლიოთეკას ემატებოდა რუს და უცხოელ ავტორთა სულ ახალ-ახალი ნაწარმოებები. როცა გადასახლებული პოეტი მიხაილოვსკოედან პეტერბურგს დაბრუნდა, მას უკვე ჰქონდა წიგნის უმდიდრესი კოლექცია. მის გადასაზიდად საჭირო გახდა თორმეტი საზიდარი.

თავისი ბიბლიოთეკის შევსებისათვის, მისი დაცვისათვის პუშკინი მუდამ ზრუნავდა. „ჩემი ბიბლიოთეკა იზრდება და ფართოვდება“, — სიხარულით სწერდა იგი თავის ცოლს 1824 წლის მაისში. ორი წლის შემდეგ მოსკოვიდან ეკითხებოდა მას: როგორ არიან ჩემი ბავშვები და ჩემი წიგნები?...“

... გენიალური პოეტის სიკვდილის შემდეგ ბიბლიოთეკა 60 წელზე მეტ ხანს გადაჰქონდათ სხვადასხვა ადგილას. როცა ნატალია ნიკოლოზის ასული გენერალ ლანსკის მისთხოვდა, ყველა წიგნი პოეტის უკანასკნელი ბინიდან გადაზიდეს ყაზარმებში და ნესტიან შენობაში დაყარეს. აქ უმდიდრესი წიგნთა კრებული რამდენიმე წელიწადს ეყარა უპატრონოდ. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ, პოეტის შვილიშვილის ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე პუშკინის მეცადინეობით, წიგნებმა პოვეს თავშესაფარი მოსკოვის გუბერნიის ბრონიცკის მაზრის სოფელ ივანოვსკოეში — პოეტის შთამომავლის მამულში.

მხოლოდ 1900 წელს, როცა პეტერბურგში შეიქმნა პუშკინის სახლი, პუშკინის პირადი ბიბლიოთეკა კვლავ დაბრუნდა ნევის ქალაქში. ახლა ეს ძვირფასი განძი მზრუნველობით ინახება რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში — საბჭოთა პუშკინმცოდნეობის უდიდეს ცენტრში.

... ვრცელი ნათელი ოთახი კამაროვანი ჭერით. კედლების გასწვრივ განლაგებულია დიდი კარადები, რომლებსაც შიგნიდან ჩამოფარებული აქვს მუქი ლურჯი ტილო, რაც წიგნებს იცავს მზის სხივებისაგან. ვაღებთ ერთ-ერთ კარადას. თითქმის ყოველი წიგნი აქ ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. წიოელი ტარსიკინის ყდაშია ა. ნ. რადიშჩევის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში“. პოეტ ფურცელზეა პუშკინის ავტოგრაფი: „ეგზემპლარი, რომელიც სიდუმლო კანცელარიაში იყო. გადახდილია 200 მანეთი“. პოეტი განსაკუთრებით პატივს სცემდა მის ავტორს — დიდ რუს მწერალ-რევოლუციონერს, და ამაყობდა რომ ეს წიგნი შეიძინა.

სინტერესოა აგრეთვე კიდევ ერთი ნაწარმოები, რომლითაც პუშკინი სარგებლობდა, როცა წერდა „პუგაჩოვის ისტორიას“. ეს არის „ნაწერები ალექსანდრე ილიას-ძე ბიბიკოვის ცხოვრებისა და სამსახურის შესახებ“, რომელიც იყო ეკატერინეს დროის გენერალი, პუგაჩოვის აჯანყების ერთ-ერთი ჩამხშობი. ამ წიგნის ფურცლებზე შემორჩენილია სიტყვის უდიდესი ოსტატის შენიშვნები. კითხვის ან გაკვირვების ნიშნები მინდვრებზე, ბაზგასმა, მახვილი შენიშვნები გვხვდება წიგნების ბევრ ფურცელზე. ისინი ახასიათებენ პუშკინის დამოკიდებულებას ნაწარმოების შინაარსისადმი, გამოხატავენ ზოგჯერ მის აღტაცებას ან გულისწყრომას.

ახალი რუსული პოეზიის მამამთავარს უძღვნიდა წიგნებს ავტოგრაფით ბევრი გამოჩენილი ლიტერატორი. კარადის თაროზე მდიდრულ ყდაშია ჰომეროსის „ილიადა“, რომელიც რუსულად თარგმნა ნ. გნედიჩმა. მის პირველ ფურცელზეა მიძღვნის წარწერა: „ალექსანდრე სერგის ძე პუშკინს ქებულმარტ პატივისცემის ნაშთად მთარგმნელისაგან“. აქვეა ბაირონის ნაწარმოებთა ერთტომეული ინგლისურ ენაზე. მის ყდაზე კარგად შესახულია წარწერა პოლონურ ენაზე: „ბაირონს უძღვნის პუშკინს ორივეს თაყვანისმცემელი. ა. მიცკევიჩი“.

პუშკინის ბიბლიოთეკაშია ლომონოსოვის, კარამზინის, ფმიტრიევის, ჟუკოვსკის, კრილოვის, გოგოლის, გრიბოედოვის, ვიაზემსკის, ბელინსკის, დენის დავიდოვისა და სხვა რუსი მწერლების ნაწარმოებნი. უხვად წარმოდგენილია აგრეთვე საზღვარგარეთის ლიტერატურა.

პუშკინის ბიბლიოთეკაში თავმოყრილია ლიტერატურა 14 ენაზე — რუსულ, ლათინურ, ბერძნულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ესპანურ, პოლონურ, ჩეხურ და სხვა ენებზე. წიგნებს თითქმის ყველა ამ ენაზე პუშკინი კითხულობდა ორიგინალში.

ამ უნიკალური ბიბლიოთეკის თაროებზეა ლიტერატურა სულ სხვადასხვა საკითხზე. აქ არის „რუსეთის ქალაქების აღწერა“, „ეგვეტები და რუკები სამხედრო ისტორიისათვის“, „რუსების XVIII საუკუნის ლაშქრობათა სამხედრო ისტორია“, „ბესარაბიის ძველი ისტორია“, „პეტრე პირველის მოღვაწეობა“, წიგნები ძველი ფილოსოფიის, უახლესი კაზმული სტატისტიკის, სტატისტიკის საკითხებზე... ყოველივე ეს მოწმობს, რაოდენ ფართო იყო იმ საკითხთა წრე, რომლებიც გენიალურ რუს პოეტს აინტერესებდა.

ამ ბოლო დროს დიდი მუშაობაა შესრულებული პუშკინის უნიკალური ბიბლიოთეკის წიგნების რესტავრაციისათვის. აღდგენილია ათასზე მეტი ტომი.

დ. ზახაროვი.

ლენინგრადი.

ხელოვნების ქრონიკა

ცხინვალი. (საკ. კორ.). კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართულმა კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა მოლიერის კომედია „სკაპენის ოინები“.

დადგმა განახორციელა თეატრის მთავარმა რეჟისორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. კაიროვმა, მხატვრულად გააფორმა თ. გაგლოევმა.

პრემიერამ მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

ტყიბული. (საკ. კორ.). ამ დღეებში აქ საგასტროლოდ ჩამოვიდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მხატვრული საესტრადო ბრიგადა. ესტრადის მსახიობებმა მეშახტეებს უჩვენეს მუსიკალური ფელეტონები, აკრობატული ეტიუდები, ორიგინალური ჟანრის ნომრები.

მეშახტეები გულთბილად შეხვდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტებს თამარ ჭავჭავაძესა და ბუხუტი ზაქარიაძეს. მოწონება ხვდათ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ტრიოს ე. მურადელის, გ. ბალაჯარაშვილისა და ე. სეფაშვილის შემადგენლობით.

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივმა ამ დღეებში დადგა ვ. შალიკაშვილის პიესა „უნიადაგონი“. სპექტაკლის რეჟისორია ვ. მჭედლიძე, მხატვარი — ნ. ყაზბეგი, მუსიკა დაწერა ი. ბობოხიძემ. მთავარ როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ა. როგავა, მსახიობები მ. ტოგონიძე, გ. წერეთელი, ა. ქირია, ნ. ურუშაძე, დ. გოგიჩაიშვილი, ბ. ცომაია და სხვ.

ბ. ალფიბაია.

ბორჯომის ხეობის წარმტაცი ბუნება — დაბა ბაკურიანი სპორტის ზამთრის სახეობათა შესანიშნავი კერაა. ამიტომ კოხტაგორა, მისი მიდამოები ყოველწლიურად მრავალ სპორტსმენს და დამსვენებელს იზიდავს. მალე ბაკურიანი დიდი ასპარეზობის მოწმე გახდება. ხვალ აქ საზეიმოდ აღმართავენ საქართველოს პირველი სპარტაკიადის ალამს. ამ მასობრივ შეჯიბრებაზე 3000-ზე მეტი სპორტსმენი გამოვა.

სურათზე: სპორტსმენთა ვარჯიში სათხილამურო გადასვლაში.

ფოტო ბ. დადვანისა.

ლიდეროგენ სტოკჰოლმიდან გვაცნობებენ

მ. ფილიპი და რ. ფიშერი

სტოკჰოლმი. 4 თებერვალი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). მეექვსე ტურით ამოიწურა საბჭოთა მოჭადრაკეების ურთიერთ შეხვედრები.

ორი საბჭოთა გროსმაისტერის ე. გელერისა და ვ. კორჩნოის შეხვედრა მეექვსე ტურის ერთ-ერთი ცენტრალური პარტია იყო. ბრძოლა ორმხრივი იერიშით ან კომბინაციური გართულებებით აღინიშნა, მაგრამ იგი არ დამთავრებულა. პარტია გადადებულია.

უნგრელი გროსმაისტერი გ. ბარცა ენერგიულად იბრძოდა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონის რ. ფიშერის წინააღმდეგ, მაგრამ ციტინრტმი ჰასიერი სვლებით მნიშვნელოვნად გაიოარესა მდგომარეობა. გადადებულ პარტიაში რ. ფიშერი უპირატესობას ინარჩუნებს.

ოსტატი ლ. ტეინი აქტიურად იბრძოდა ტურნირის ერთ-ერთი ლიდერის არგენტინელი ოსტატის ო. ბოლბოჩანის წინააღმდეგ და გათამაშდა.

მეორე ლიდერმა მ. ფილიპმა, რომელსაც უთარეს პოზიცია ჰქონდა ტ. პეტროსიანთან პარტიაში ყაიმს მიაღწია. ასეთივე შედეგით დამთავრდა ე. გერმანი. ტეშნერის, ს. გლიგორიჩ-ლ. პორტიშის და მ. აარონ-ს. შეებრის პარტიები.

პირველი გამარჯვება მოიპოვა ფ. ოლაფსონმა მ. ბერტოკთან შეხვედრაში. ა. პოპარამა მოიგო ი. ბილეკს, ი. ივნოვსკიმ — პ. ბენკოს, ვ. ულმანმა — მ. კეელარს.

სტოკჰოლმი. 5 თებერვალი. ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ოსტატმა ლ. აბრამოვმა ტელეფონით გვაცნობა:

დღეს აქ მოეწყო საზონთაშორისო ტურნირის მეხუთე და მეექვსე ტურნი გადადებული პარტიების დამთავრება.

კორჩნოი-პეტროსიანი და პორტიშ-ჰომარი ბრძოლის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა გელერ-კორჩნოის პარტია. ულმანმა მოიგო გერმანს, ბენკომ—შვაბერს, ფიშერმა — ბარცას.

ექვსი ტურის შემდეგ ლიდერები არიან რ. ფიშერი და მ. ფილიპი, რომელსაც ხუთ-ხუთი ქულა აქვთ.

რ. მერკულოვი — აბსოლუტური ჩემპიონი

ოსლოს „ბიშლეტის“ სტადიონის ყინულოვან მოედანზე ორ დღეს გრძელდებოდა ევროპის ჩემპიონატი ჩქარასხლულ ეგზერციციებში ვაჟთა შორის. ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა 12 ქვეყნის 35 წარმომადგენელი.

სტარტი 500 მეტრზე მრბოლებმა აიღეს. აქ უძლიერესი იყო ე. გრიშინი. დრო — 40,7 წამი. 5.000 მეტრზე რბოლაში გაიმარჯვა რ. მერკულოვმა (8 წუთი და 9,6 წამი). უკანასკნელ ორ დისტანციაზე — 1.500 და 10.000 მეტრზე ჩქარასხლულ ეგზერციციებში პირველი აღგილი დაიკავეს ბ. სტენნმა და კ. იუპანენესმა.

ოთხი დისტანციის შედეგის მიხედვით ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა საბჭოთა სპორტსმენი რ. მერკულოვი (188,163 ქულა).

„გურევესტნიკის“ ალმით

სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება ხელბურთში დასასრულს უახლოვდება.

გასულ კვირადღეს სპორტის სასახლეში გაიმართა მორიგი მატჩები. ჩერკასკის ქალთა გუნდმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა და პირველობა გაინაღდა.

ლიდერებმა — თბილისისა და კიევის მინსკელებმა დაამარცხეს ლენინგრადის გუნდი 17 : 12.

გუშინ გაიმართა მორიგი მატჩები. შედეგები ასეთია:

ქალები: სვერდლოვსკი-მინსკი 12 : 8, თბილისი-ბაკო 13 : 4; ვაჟები: ლენინგრადი-ბაკო 25 : 8, სვერდლოვსკი-მინსკი 10 : 13, კიევი-მაი 13 : 12, მოსკოვი-თბილისი 9 : 25.

დარჩა ორი ტური

ერევანი. 4 თებერვალი (სპეც. კორ.). საკავშირო ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მე-16 ტურის შედეგებმა ერთგვარი ცვლილება შეიტანა გათამაშების ცხრილში.

ამ დღეს მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა, დანარჩენები — გადადგა.

სსრ კავშირის ჩემპიონმა ვ. ბორისენკომ ლენინგრადელ ე. ბიშარდთან პარტიაში მხოლოდ ყაიმის მიღწევა შეძლო. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე მ. რახიკუნ. ვოიცეკის პარტია. კ. ზვორიკინის თამაშინეკი უარესი პოზიცია ჰქონდა ე. კაკაბაძესთან, მაგრამ ამ უკანასკნელმა ცაიტნოტში შეცდომა დაუშვა და დამარცხება განიცადა.

ზ. ნახიმოვსკაიამ უკეთეს პოზიციაში მ. ტოგონიძეს ყაიმი შესთავაზა, მაგრამ ქართველმა მოუფიქრა იგი უარყო. ამის შემდეგ მ. ტოგონიძემ აირია ბრძოლის გართულების გზა და მალე პაიკი მოიგო. პარტია გადადებულია მ. ტოგონიძის უპირატესობით. ა. კუშნირის ზედმეტი პაიკი აქვს ო. კაცკოვასთან.

ერევანი. 5 თებერვალი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს შედგა მე-17 ტური.

ბორისენკომ მოუგო ლიპუნოვას, იგნატიევამ — რანიკუს, როოტარემ — კაკაბაძეს. კოზლოვსკაიას გამარჯვება ჩაეთვალა ტურნირიდან გასულ სემონოვასთან. დანარჩენ პარტიები გადაიდო. ტოგონიძეს უარესი პოზიცია აქვს ზატულოვსკაიასთან. კუშნირისა და ვოიცეკის პარტია გადადებულია რთულ პოზიციაში.

17 ტურის შემდეგ ლიდერია ბორისენკო, რომელსაც 12 ქულა აქვს.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ოფიციალური ცხრილი მოგებათა 86-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1962 წლის 30 იანვარს ქ. მოსკოვში.

მოგება ხვდა ხუთხის თექვსმეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000600	46*)	500	036834	07*)	500	065477	19*)	500
000807	22*)	500	037041	30*)	500	066016	50*)	500
001120	22*)	500	037230	46*)	500	066388	12*)	500
001586	07*)	500	037375	1—50	100	067913	26*)	1.000
001871	1—50	40	037980	1—50	40	067934	23*)	500
003954	17*)	500	038654	35*)	1.000	068106	1—50	40
004002	19*)	1.000	038763	44*)	500	068115	21*)	500
004368	04*)	1.000	039132	33*)	500	069083	12*)	500
004797	18*)	2.500	039422	17*)	500	070336	1—50	40
005204	1—50	40	041481	42*)	500	070719	46*)	500
005458	47*)	1.000	041716	50*)	500	072468	45*)	500
006679	08*)	500	042199	1—50	40	072545	1—50	40
006894	1—50	100	042472	1—50	40	075046	29*)	500
009288	26*)	500	042821	23*)	1.000	076035	11*)	1.000
009886	37*)	500	043134	48*)	500	077509	1—50	100
010459	1—50	40	043452	32*)	500	078029	35*)	500
010902	45*)	500	043509	1—50	40	078411	1—50	100
011016	26*)	500	043872	1—50	40	078519	1—50	40
011081	30*)	500	045026	1—50	40	078913	1—50	100
011184	1—50	100	045325	29*)	2.500	079414	1—50	40
011668	26*)	500	045578	09*)	500	079532	05*)	500
013684	13*)	500	046282	05*)	500	080005	1—50	40
015948	30*)	1.000	046290	1—50	100	080902	1—50	40
016067	24*)	500	046400	14*)	500	080905	07*)	2.500
016375	24*)	500	046426	1—50	100	081062	50*)	500
016532	48*)	500	047195	48*)	500	081196	50*)	500
017318	07*)	500	047318	1—50	100	082015	1—50	40
017428	41*)	500	047362	09*)	500	083487	1—50	40
017968	34*)	500	047394	29*)	2.500	083640	1—50	40
018898	36*)	500	047633	1—50	40	088141	1—50	40
018939	45*)	1.000	048533	50*)	1.000	089055	1—50	40
020826	12*)	1.000	048597	1—50	40	090515	04*)	500
021476	29*)	500	048663	10*)	500	091076	01*)	500
023041	35*)	1.000	048726	48*)	1.000	091327	24*)	1.000
024157	1—50	40	049468	25*)	500	091393	33*)	500
024227	1—50	40	050332	1—50	100	091426	1—50	40
026837	1—50	40	050479	1—50	100	092184	1—50	40
026866	28*)	500	050624	06*)	1.000	092442	1—50	100
027238	1—50	40	051256	34*)	1.000	092604	02*)	500
027448	30*)	500	052505	34*)	500	092797	34*)	1.000
027572	42*)	500	052542	05*)	5.000	093390	36*)	500
028218	50*)	1.000	053026	1—50	100	094630	1—50	40
029326	1—50	40	053297	1—50	40	094696	09*)	1.000
029758	1—50	40	054105	30*)	5.000	095106	45*)	500
030427	40*)	500	055900	21*)	2.500	095535	32*)	500
030690	19*)	500	056651	07*)	500	095719	08*)	500
030977	1—50	40	057393	11*)	1.000	095833	41*)	1.000
031133	31*)	500	057733	1—50	100	096078	1—50	40
031253	33*)	500	057916	1—50	40	096097	45*)	500
031836	16*)	500	059449	1—50	40	096230	37*)	1.000
032347	20*)	500	060251	1—50	40	097028	1—50	40
032796	1—50	40	062063	1—50	40	098108	39*)	500
033518	28*)	500	062707	19*)	500	099081	1—50	40
033627	1—50	40	062925	20*)	1.000	099282	07*)	500
034284	45*)	500	063306	15*)	500	099576	17*)	500
035432	1—50	40	064090	24*)	500	099661	47*)	500
035487	47*)	1.000	065469	41*)	1.000			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციებიდან მოგებანი.

ათმანეთიან ობლიგაციაზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლითაც შეშნახული საალაროები აწარმოებენ მოგებათა გაცემას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ქალაქ მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების პირველი მაისის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე პ. ს. ციდილინი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ა. ვასილიევა.

6 თებერვალი

ტელევიზია: 12.00 — მხატვრული ფილმი „ძმაო ამოსავლის წინ“, 18.00 — ოჯინების თეატრის სპ. ტაკლი — „ცრუპენტელა“, 19.00 — კინოჟურნალი, 19.10 — საუბარი — „საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში“, 19.30 — ულიამ შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტის“ ტრანსლაცია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრიდან, ანტრაქტში — ახალი ამბები.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო

აუწყებს ყველა დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს,

რომ 1962 წლისათვის შტატებისა და ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯთაღრიცხვების რეგისტრაცია უნდა მოხდეს 1962 წლის პირველ კვარტალში ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მიერ დადგენილ დიფერენცირებულ ვადებში.

საჭიროა ყველა დაწესებულებამ, საწარმომ და ორგანიზაციამ საათანადო საფინანსო ორგანოში რეგისტრაციისათვის დროულად წარადგინოს დადგენილი წესით 1962 წლისათვის დამტკიცებული სამტატო განრიგები და ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯთაღრიცხვები.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო

„ვოლგები“, „მოსკვიჩები“ ხელიდან ხელში...

მშრომელთა სურვილისა და ფართო საზოგადოებრიობის მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას“.

ბრძანებულებაში ნათქვამია: „დღეს-დღეს, რომ სრულწლოვანი შრომისუნარიანი მოქალაქენი, რომელთაც არა სურთ შეასრულონ უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური მოვალეობა — პატიოსნად იშრომონ თავიანთი უნარის მიხედვით, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, იღებენ არაშრომითს შემოსავალს მიწის ნაკვეთების, ავტომანქანების, საცხოვრებელი ფართობის ექსპლოატაციით ან სჩადიან სხვა ანტისაზოგადოებრივ საქციელს, რაც მათ პარაზიტულ ცხოვრების საშუალებას აძლევს, გასახლებული უნდა იქნან რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით ან შრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით სპეციალურად გამოყოფილ ადგილში ორიდან ხუთ წლამდე ვადით, უპატიოსნო გზით მოპოვებული ქონების კონფისკაციით. გასახლების ადგილას შრომითს საქმიანობაში აუცილებელი ჩაბმით“.

მთელი სისასტიკით უნდა ვებრძოლოთ ასეთ პარაზიტულ ელემენტებს, უნდა გამოვიყენოთ საბჭოთა კანონის მთელი ძალა და ძლიერება.

განა პარაზიტი და მუქთახორა არ არის ისეთი პირი, რომელიც არსად არ მუშაობს ან მუშაობს მცირეხელფასიან ადგილას და მშვენივრად ცხოვრობს, ყოველწლიურად ხელთათმანივით იცვლის მსუბუქ ავტომანქანას.

არიან ისეთი პირებიც, რომლებიც პასუხსაგებ სამუშაოზე მუშაობენ და უკანონობას კი სჩადიან: ყიდულობენ და ჰყიდიან ავტომანქანებს.

ასეთი ფაქტი ერთეული შემთხვევა როდია. ეს ალბათ იმიტომ, რომ მათ მიმართ ლმობიერებას და გულგრილობას ვიჩენთ. ისინიც, რაკი დაუჯერნი დარჩნენ, განაგრძობენ ავტომანქანებით სპეკულაციას.

მიკრტიჩ ხაჩატურის-ძე მიქაელიანმა უკვე ხუთჯერ მოახერხა ავტომანქანის ყიდვა და გაყიდვა. აქედან მარტო 1950 წელს ორჯერ იყიდა ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

მიქაელიანი მსუბუქი ავტომანქანის მძღოლად მუშაობს და მისი ხელფასი 80 მანეთით განისაზღვრება.

რაფაელ სამსონის-ძე რიეინაშვილმა ექვსჯერ მოახერხა ავტომანქანის შეძენა ავტომაღაზიაში, რ. რიეინაშვილი მუშაობს „გრუზპრომმახტაში“ მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე.

არჩილ ვასილის-ძე ოროჟანდოვმა რვაჯერ შეძლო ავტომანქანის შეძენა და ყველა გაყიდა. ამჟამად კი აქვს ახალი ავტომანქანა „მოსკვიჩი“, რომელიც 1961 წლის თებერვალში შეიძინა.

ოროჟანდოვი მუშაობს რკინიგზის სახანძრო დაცვაში მძღოლად.

მსუბუქი ტაქსის მძღოლმა მიხეილ აბრამის-ძე მანუკიანმა შეიძინა და გაყიდა 11 ავტომანქანა. მანუკიანს რომ ვკითხეთ, რით იყო გამოწვეული მანქანების ასე ხშირი ყიდვა-გაყიდვა, გვიპასუხა, ახალი მანქანების მოტრფიალე ვარო.(!?)

გიკა ალექსანდრეს-ძე არუთინოვი 10 წელზე მეტია არ მუშაობს, მაგრამ მაინც მოახერხა ზვიდი ავტომანქანის ყიდვა და გაყიდვა.

არუთინოვმა დაკითხვის დროს გულახდილად აღიარა, რომ მანქანით „ხალტურაზე“ დადიოდა და ეს იყო მისი ძირითადი შემოსავალი. არუთინოვი ამ საქმეში უკვე ორჯერ არის ნასამართლევი, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯაჭა მაინც ვერ ისწავლა.

მიხეილ ხაჩატურის-ძე მალხაზიანმა უკვე მოახერხა ზვიდი ავტომანქანის შეძენა. ხოლო გიორგი ხაჩატურიანმა ექვსი ავტომანქანა იყიდა. ორივე მძღოლია და ავტომანქანები სასპეკულაციოდ აქვთ გადაქცეული.

ისაკ აბრამის-ძე აბრამიშვილმა, რომელიც კიროვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში მუშაობს ხორცის მჭრელად (თვიური ხელფასი 48 მანეთი), ექვსი წლის განმავლობაში შეიძინა და გაყიდა ექვსი ავტომანქანა.

ოგანეს არუთინის-ძე არაქელოვმა ექვსი ათასი მაყურებელი დაესწრო. საკავშირო თეატრალური საზოგადოების მოწვევით ოქაა გამართულ კონცერტს ექვსი ათასი მაყურებელი დაესწრო. საკავშირო თეატრალური საზოგადოების მოწვევით ოქაა გამართულ კონცერტს ექვსი ათასი მაყურებელი დაესწრო. ამ ბოლო დროს ეს-ეს ავტომანქანა, ამჟამად აქვს ავტომანქანა „ვოლგა“ დაკარგული. იგი ზოფერია და ავტომანქანას ხალტურისათვის იყენებს.

აშოტ დერენიკის-ძე მჩხიანმა შეიძინა და გაყიდა რვა ავტომანქანა — 5 „მოსკვიჩი“, 2 „პობედა“ და 1 „ზიმი“.

ამჟამად მჩხიანს აქვს „ზიმი“, „რომელიც გაფორმებულია სხვის სახელზე, თუმცა თვითონ მართავს.

მჩხიანი მუშაობს სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოში მუშად.

უდავოა, აქ ბრალი ავტოინსპექციის მუშაკებსაც მიუძღვით, ვინაიდან მათი წყურეების შედეგად ხდებოდა ავტომანქანების უსწორად გაფორმება თუ გადაფორმება. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოსაც მეტი კონტროლი და გამჭრიახობა უნდა გამოეჩინა, ის კი ერთ და იმავე პირს რამდენჯერმე აძლევს უკანონოდ ავტომანქანებს.

არიან ისეთი პირებიც, რომლებსაც ავტომანქანები აქვთ და მიუხედავად ამისა კვლავ ჩაეწერენ ავტომანქანის მისაღებად.

ს. მ. მიქაძეს პირად მფლობელობაში აქვს ავტომანქანა „პობედა“ და კვლავ შეიტანა თანხა „მოსკვიჩის“ მისაღებად.

ნინო სპირიდონის ასულ ბოლოთაშვილს აქვს „მოსკვიჩი“, რომელიც 1960 წელს შეიძინა და კვლავ შეიტანა ფული „მოსკვიჩის“ მისაღებად. მსგავსი ფაქტები ბევრია.

ყველა ეს და ამის მსგავსი ფაქტები ნათლად მეტყველებენ, რომ კაპიტალიზმის გადმონაშთები ჯერ კიდევ ცოცხლობენ ცალკეულ ადამიანთა შეგნებაში. მთელი რიგი მოქალაქენი მანქანებს ყიდულობენ არა ოჯახის აუცილებელი საჭიროებისა და მომსახურებისათვის, არამედ სასპეკულაციოდ. მანქანები გადაქცეული აქვთ უშრომო შემოსავლის წყაროდ.

აქ ჩამოთვლილი პირების ერთი ნაწილის მიმართ ჩვენ აღვძარ